



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 22

მ ა ი ს ი 19 1896 წ.

№ 22

შინაარსი: გვირგვინის კურთხევა.—უმაღლესი ბრძანება.—საყურადღებო აშხები.—გვირგვინის კურთხევის დღეს: სწაულობა მოსკოვში.—უღმებია, დეჰსი კ. გოგოლაძისი.—კვირის სურათები კვიპაჯისა.—ნიკოლოზ პარათაშვილი და მისი დრო წომილელისა.—გულს, ლექსი უსტისა.—ბაში-აჩუკ (დასასრული) აკაყსა.—კრიტიკული განხილვა ფ. მხარაძისა.—ანგარიში ქიათურის სხანდრო სამკობველოს შესახებ.—განცხადება.—

„აკვალის“ ხელის მომწერლებს მოგაგონებთ, ვისცდ ფუფი ან შემოუტანათ, დროზე შემოიტანონ.

გვირგვინის კურთხევა

ხელმწიფე იმპერატორისა და უფავუსტესის მეუღლისა მისისა.

აქჟა ასუღს სიონისას:
აჟ, ესე რა, მეუფე შენი მოგაღს შენდა მშვიდი... სახარება მათესი, თავი 21.

ღეს სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ და უფავუსტესმა მისმა მეუღლამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაიდგეს თავზე ხელმწიფობის გვირგვინი და იცხეს მირანი ნიშნით მისა, რომ მათ გარდამოვლინათ ზეცით მადლი ღვთისა კეთილ განსაკებელათ და ბედნიერების მისანიჭებლათ მრავალთა მათ ქვეშევრდომთა ერთათვის. დღეს ხარობენ არამც თუ სრულიად რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომნი, არამედ გარეშე სახელმწიფოთა და ქვეყანათა დიდნი და მცირენი, რომელთა წარმომადგენელნი დღეს მოსკოვის სატახტო ქალაქში ესწრებიან ამ დიდებულ სანახაობას. ყველანი გულწრფელათ ულოცვენ ახალგაზდა მპყრობელთ მათ ბედნიერების დღეს, ყველანი დაიმედებულნი არიან, რომ ნორჩი ბუნება, საღი უმანკო ზნე და განათლებული მაღალი გონება ახალგაზდა გვირგვინოსანთა მიტყულ იქმნებიან საკეთილღვით თვისთა მრავალ ენოვანთა, მრავალ ბუნებოვანთა და მრავალ გვაროვანთა ქვეშევრდომთა ზედა. დღეს კიდით კიდემდე გაისმის სიხარული და იმედებით სავსე ალტაცება ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევისათვის. ჯერ ასეთი გულწრფელი მზარულება არსად მომხდარა, ასეთი დიდი სიყვარული გვირგვინოსანისადმი ამბათაც არ გაგონილა. ხალხს საბუთიც აქვს ასე ალტაცებით მიეგებოს თავის მეუფეს. თვით ახალგაზდა გვირგვინოსანი, როგორც ნორჩი და გულსალი ჭაბუკი, სავსეა საუკეთესო გულის წადილით და იგი მის ერთგულ ქვეშევრდომთა ერთაც გაზიარებული აქვთ. ისინი მოვლიან თავის ახალგაზდა ხელმწიფისაგან განახლებულ ცხოვრებას, სავსეს სიმართლითა. ისინი იმედოვნებენ, რომ ახალგვირგვინოსანის ხელმწიფის მოქმედება იქნება

რენი, რომელთა წარმომადგენელნი დღეს მოსკოვის სატახტო ქალაქში ესწრებიან ამ დიდებულ სანახაობას. ყველანი გულწრფელათ ულოცვენ ახალგაზდა მპყრობელთ მათ ბედნიერების დღეს, ყველანი დაიმედებულნი არიან, რომ ნორჩი ბუნება, საღი უმანკო ზნე და განათლებული მაღალი გონება ახალგაზდა გვირგვინოსანთა მიტყულ იქმნებიან საკეთილღვით თვისთა მრავალ ენოვანთა, მრავალ ბუნებოვანთა და მრავალ გვაროვანთა ქვეშევრდომთა ზედა. დღეს კიდით კიდემდე გაისმის სიხარული და იმედებით სავსე ალტაცება ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევისათვის. ჯერ ასეთი გულწრფელი მზარულება არსად მომხდარა, ასეთი დიდი სიყვარული გვირგვინოსანისადმი ამბათაც არ გაგონილა. ხალხს საბუთიც აქვს ასე ალტაცებით მიეგებოს თავის მეუფეს. თვით ახალგაზდა გვირგვინოსანი, როგორც ნორჩი და გულსალი ჭაბუკი, სავსეა საუკეთესო გულის წადილით და იგი მის ერთგულ ქვეშევრდომთა ერთაც გაზიარებული აქვთ. ისინი მოვლიან თავის ახალგაზდა ხელმწიფისაგან განახლებულ ცხოვრებას, სავსეს სიმართლითა. ისინი იმედოვნებენ, რომ ახალგვირგვინოსანის ხელმწიფის მოქმედება იქნება

აღნიშნული ლეთიური სულგარძელებით და მადლი მისი, ვითარცა მზის სხივები, თანასწორათ განეფინებოდა, თანასწორათ განაცხოველებდნენ, როგორც დიდის, ისე მცირის ერის ცხოვრებას, რომელიც ამ განზრახვით დიდი ხნიდან შემოპყრებოდა მის სამართლიანს მარჯვენას. განსაკუთრებით ჩვენ შორეულნი წელიღნი ერნი, რომელნიც შემოკრებულან მის ფრთეთა ქვეშე, „ვიითარცა მფრინველმან შემოიკრიბოს თვისი მართვინი“, მოვლიან მისგან მყუდროებას, რათა ივინი არა დიკორტონ და არა მიეცენ განსაცდელსა აუტანელსა უძლიერებისა მიერ მის ქვეშევრდომის ერისა, რომელიც შეპყრობილ არს ანგარებთა და ძალმომრეობის სენითა. ძველათ მპყრობელნი ქვეყნისანი გარემომოიკრებდნენ თვისთა თანამემწეთა და მიანდათ ივინი ყურად და თვალად მფვისა. ხალხი ყურნი და თვალნი ხშირათ აცდუნებდნენ თავსა, რადგან ასმენდნენ მას, რაც არა გავგონათ და ხედვიდნენ, რაც არა ენახათ. ამისგამო მადლი ლეთისა განერა მათგან და ივინი აღიგავენ პირისაგან ქვეყნისა. დღეს მადლი ლეთისა სხვა გეარ ასწავებს გვირგვინოსანსა ჩვენსა. იგი არ უნდა დაემყაროს მარტო ზრახვასა თვისთა გარემო მდგომთა, რამეთუ ზრახვა მათი არს მცდარ, არამედ უნდა ესმოდეს ზრახვა საშოდან ერისა და მარად უნდა ხედვიდეს ზრახვასა და გულისწადილსა მრავალთა მის ქვეშევრდომთა ერთა, რომელთა ბაგენი მზათ არიან მის საქებათ და სადიდებლათ ქველის მოქმედებისათვის სრულიად რუსეთის წინამძღვარ-მპყრობელისა და ახალ დავეირგვინებულისა ძვირფასისა ხელმწიფისა ჩვენისა. მრავალ ჭამიერ იყოს მისი სიცოცხლე.

უმადლოესი ბძანება.

წამხედრო უწყებაში გენერალ-მაიორობა ებოდა დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს, რომელიც სამეგრელოსავე პოლკის სარდლათ იქნა დატოვებული; ჭლიველ-ადიუტანტობა ებოდათ დიდს მთავრებს გიორგი და სერგი მიხეილის ძეთ. ხივის ხანი ორენბურგის ყაზახთა ჯარში იქნა ჩარიცხული გენერალ-ლეიტენანტათ. კავკაჯრეისის გენერალობა ებოდათ: დალესტნის სამხედრო გუბერნატორათ ნამყოფს თ. ჭავჭავაძეს და კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროს თავად ამილახვარს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში უმადლოესი მადლობა გამოცხადათ: სტაუროპოლისა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლებს.

წმ. ელადიმირი მეოთხე ხარისხისა ებოდა: გორის სასამართლოს შუამავალს თავად ციციშვილს; წმ. სტანისლავა მეორე ხარისხისა: საგანგებო მინდობილებათა მოხელეს, მთავარმართებელთან, უვანათლებულეს თავად გჭუხინსკისა და ქუთაისის ქალაქის მოურავს ბ. ნ. ლოლუს.

წმ. ანნა მეცამე ხარისხისა ებოდა: მთავარმართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს, კამერ-იუნკერს თავად მუსჩანსკის.

გუშინ-წინ სასამართლო პალატის ბრალმდებელმა ტფილისის ოლქის სასამართლოს წინადადება წარუდგინა: დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ის პატიმარნი, რომელთაც 1896 წ. 14 მაისს მანიფესტით თავისუფლება ეძლევათ, აგრეთვე გამოცხადოთ დანაჩინთ, რომ სასამართლოსაგან გარდაწყვეტილი სასჯელი შეუმციროდებათ. ასეთივე დევნებში გაგზავნეს აგრეთვე კავკასიის დანაჩინ სასამართლო ოლქებში. პროვინციის ქალაქებში მანიფესტის გამოცხადება და ასრულება უნდა მიენდოს ოლქის სასამართლოთა ბრალმდებლების თანამემწეებს.

საყურადღებო ამბები.

წკაჯა, (ყვირილის ხეობა.) ზემო იმერეთში წელს ლეთის რისხვა დატრიალდა. შარშან რადგან ჭირნახული არ მოსულა, განსაკუთრებით ლენის ცვარიც არ მოიპოება აქეთკენ, იმედი ჰქონდათ, მძიმე ზამთარს შემდეგ კარგი მოსავლიანი წელიწადი მობრუნდებოდა. ასე ამბობდნენ მოხუცებულები და გამოცდილი კაცები, მაგრამ სამწუხაროთ ჰავამ იცვალა პირი და ველარაფერი გაუფეს ამიდს. მაისი დადგა და ჯერ მახლობელ პერანგას მთაზე თოვლი კიდევ არ აღებულა. სამს მაისს რომ დიდი წვიმა იყო, მეორე დღეს მთები კი არა, გარემომადლობებიც თითქმის სოფლამდის მეორეთ ჩამოთოვა. ხალხი სასოწარკვეთილებათაში ვარდებოდა მომეტებული უბედურებით. მრავალი გლეხთაგანის და თითქმის ბევრი აზნაურების ოჯახებიც, რომ მარცვალი სიმდიდი აღარ მოეპოვებათ და არ იციან, წლის მოსავლამდის როგორ გაიტანონ თავი. არა ჩვეულებრივმა ამიდმა და ადრეანობამ ხალხს ნება არ მიცა, ყუნები დავმუშავებინათ; არც იმედი აქეთ, რომ მოსავალი მოვიდეს, რადგან აწ დამუშავება ძალიან გვიან არის. ამას გარდა ზევეებმა და მთის ნაკადულებმა

სოფლის გზები დაღარეს და წახდინეს, ხიდები აღარ-სალ არის და ხალხი თავ-თავის სოფლებში დამწყვდე-ულია. საჩხერის მაზრა მანც მეტათ მიყრუებული ღ უყურადღებოთ დარჩენილია მთავრობისაგან. აქამდის საჩხერის მაზრაში ერთი პრისტაეი იყო, ახლა ისიც აღარ არის. სოფლის გზები და წყლებზე ხიდები არის საკეთებელი და კაცი არ არის, რომ ითავოს ეს საქმე-ები. ასე მინებებულია ღეთის ანაბარათ ეს კუთხე.

ქალის მთაში შეენიერი მადნის წყლებია: გო-გირდის, რკინის და მჟავე წყლები; ხალხი ძალიან ეხევა ამ წყლებს, მაგრამ, სამწუხაროთ, გზა არ არის და კვალი, რომ ავთმყოფები მივიდენ წყლებზე. მთავრობას დიდი ხანია ქალის წყლებამდის გზის გა-კეთება გადაუწყვეტია, მაგრამ. ამსრულებელი რომ არაინ არის, ეს საქმე აქამდის მიძინებულია.

* *

ს. ღისაუჭის საზოგადოება შედგება ოთხი პატა-რა სოფლიდან, ამათში ერთს ქაქუთი ჰქვია. ეს სო-ფელი სხვებთან შედარებით უფრო მივარდნილია ღ გაშენებული მდინარე ჩოლოქის ნაპირას. ჩოლოქს გაღმა ე. ი. დასავლეთით, გურული მაჰმადიანები ცხოვრებენ და გამოღმა კი, აღმოსავლეთისკენ—გუ-რული მართლ-მადიდებლები. ეს სოფელი მოკლებუ-ლი იყო სკოლას. ამ მივარდნილ ადგილას, სადაც სკოლა, რა ხილი იყო, არ იცოდენ და ხალხი თი-თქმის ვერანათ იყო, ბ. რაჟდენ კონტრიძემ გახსნა სკოლა და თითონ უსასყიდლოთ ასწავლის.

ბ. კონტრიძე პირველათ კერძო სახლში ასწა-ვლიდა ორივე სარწმუნოების ყმაწვილებს, მაგრამ შემდეგ, რაკი გამრავლდა მოსწავლეთა რიცქვი, სო-ფელმა საქიროთ დაინახა და ააშენა საკუთარი სკო-ლა; ამას შემდეგ ბ. კონტრიძე კიდევ 1) უფრო გულ-მოდგინებით შრომობს სამოსწავლო ასპარეზზე. შე-სანიშნავია ის, თუ როგორ შეიცვალა აქაურების აზ-რი სკოლის სარგებლობის შესახებ ამ ცოტა ხნის განმავლობაში.

ამ ოთხი წლის წინათ, როცა კონტრიძე უხსნი-და ხალხს სწავლის სარგებლობას, ორმა მაჰმადიანებ-მა შემოუთვალეს, რომ თუ 500 მანეთს მოგვეცემთ, ორ შეგირდს, ესეც შენი ხათრით, იქნება გამოგიგზა-ვნითო, ხოლო ღდეს კი ამავე ბ. კონტრიძის წყალო-ბით 50-დე ყმაწვილი სწავლობს ქაქუთის სკოლაში უფასოთ—მისივე ხელმძღვანელობით.

მომავალი წლისათვის ბიბლიოთეკას შესწი-რეს ქართული წიგნები ქ-ნ ნინო მგელაძისამ, კ.

1) ამ ქვესი წლის განმავლობაში ბ. კონტრიძემ მსოფლოთ 25 მანეთი მიადო. „წ.-კ. საზოგადოებდან.“

თავართქილაძემ, ა. თაიძემ, წ. კ. საზოგადოებამ და სხვ. იმედია ამ ბიბლიოთეკის საქმეს რიგანათ მოა-წყობენ ადგილობრივი შეკვნებული პირნი, როგორც არიან, მაგალ. მღ. კონტრიძე.

ვისითიდან ვინმე გურუღი.

* *

ნიაღვრობის და თოვლიანობისგან დაზარალე-ბულთა სასარგებლოთ 14 აპრილს გავმართეთ სცე-ნის მოყვარებმა ქართული წარმოდგენა ღ ყვირი-ლაში. წარმოდგენას საზოგადოება ბევრი ღდესწრო. წმინდა შემოსავალი დარჩა 37 მან. 70 კ., რომელიც გადაეცით აქაური კომიტეტის თავ-მჯდომარეს, შო-რაპნის მაზრის უფროს.

ს. ჭინჭკელაშვილი.

* *

ქ. ნოვა-როსისიციდან: აქ გვესტუმრა აპრილის 30-სა ს. ჯვარცხმის (ოზ. მაზ.) მამასახლისი თ. ჩხი-კვაძე და ითხოვა შემწეობა ს. ჯვარცხმაში ახალ დაარსებულ სკოლისთვის; გაიმართა ხელისმოწერა; სულ შედგა 121 მანათი, რომლიდან 15 მანეთი გამოიღო მუშების უფროსმა, სოლ. კალანდაძემ, შემომწერიველთა სია თვით ჩხიკვაძეს ჩაებარეთ; ესე-ნი ყველა გურულები არიან, აქვე გვმზე მომუშა-ვენი.

ღ. ქარიძე.

* *

ღ. ყვირილა: ის ხილი, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინეთ ღეკ. ღამაშიძის თაოსნობით გაკეთდა მღ. ყვირილაზე და რომელიც 350 მანეთათ ღაუჯდა მას, სამ მის ხელ-ახლა მოგლიჯა ადიდებულმა წყალმა:

ამნაირათ ღაერჩით ისევე უხილოთ, გზა-შეკრული. ისევე მებორნებს ჩაუფარდით ხელში გასაყველვით; ყველაზე უფრო საგრძნობელია ეს გარემოება საბრა-ლო გლეხებისათვის. ჩვენ გავიგეთ, რომ ღამაშიძეს ხელახლათ განუზრახავს ჯაჭვის ხიდის გაკეთება.

სანი.

* *

გურბიდან. როგორც გავიგეთ, გურიის სავაქრო-სამრწმუნელო ამხანაგობის „შუამავლისათვის“ სხვათა შორის, როგორც უკვე იყო გამოცხადებული, კი-

დღე შეუწირავთ ორი ქცევა მიწა ბ. ცინცადებს და-
 ბა ლანჩხუთში, ღირებულ ანა ნაკლებ ექვსასი მა-
 ნეთისა და აგრეთვე ამ დაბის მოვაჭრეებმა აღუთქვეს
 100 მანეთზე მეტით დახმარება საქმის გასაწყობათ,
 რისთვისაც ყველანი ღიდის მადლობის ღირსნი არი-
 ან.—

როგორც ჩანს ხსენებულ ამხანაგობის საქმე თურ-
 მე ძლიერ კარგათ მიდის. საქართველოს ყველ კუთ-
 ხიდან მოუღის ამხანაგობის გამგეობას საწევრო ფუ-
 ლები, რის გამო ამხანაგობას ამ ქამათ თურმე 400-
 ზე მეტი წევრი ჰყავს და იმედია, მერმის კიდევ
 უფრო შესამჩნევით იმატებს წევრთა რიცხვი; ეს იქი-
 დანაც მტკიცდება, რომ გამგეობას აუარებელ თანა-
 გრძნობის წერილებს უგზავნიან თურმე...




ვერიგინის კურთხევის დღესასწაულობა მოსკოვში.



ილის 7 საათზე შეიკრიბნენ კრემლის სასახ-
 ლეში ყველა ისინი, ვინც მიძინების ტაძარ-
 ში ცერემონიაზე მონაწილეობას იღებდენ.
 დილის 5 საათიდანვე კრემლის გარშემო ჯარები
 იდგენ. სასახლის წითელ კარებიდან მიძინების ტაძ-
 რისაკენ მისაველ გზაზე აქეთ-იქით ჯარები იდგენ
 მუსიკით. ხარების ტაძართან სასახლის შემუსკეთა
 ხორა იდგა. დილის 7¹/₂ საათზე დიდმა მთავარმა
 ელადიმირ ალექსანდრეს ძემ გამოწყობილი ჯარები
 დაათვალიერა. სოფლის საზოგადოებათა მამასახლი-
 სები და უხუცესნი ტაძრის მოედანზე იდგენ. გასაველი
 გზა, დიდის ივანეს ზარის გარშემო, მიძინების ტაძ-
 რის ჩრდილო კარისბჭედან, მთავარანგელოზის ტაძ-
 რისკენ, მთლათ წითელის მაუდით იყო დაფენილი.
 ამაღლებულ ადგილებზე მრავალი მანდილოსნები იდ-
 გენ შვენინერის კაბა-სამკაულით გამოწყობილნი. სა-
 დიპლომატო ამბიონი (ორ-სართულიანი) უცხოელ
 პრინცების ამალით იყო სავეს; ძირის სართულში
 ბუხარის ემირი და ხივის ხანი ისხდენ. დილის რვა
 საათზე წითელ კარებთან ორი ბალდახინი მიიტანეს:
 ერთი პატარა — ქერივის იმპერატრიცასათვის და ერთიც
 დიდი — მეფე-დედაფლისათვის. ამ დღეს დარჯათ
 პრეობრაჟენსკის პოლკი იყო. ცერემონიის დაწყებამ-
 დე ობერ ცერემონიანტერმა მიძინების ტაძარში
 სადიპლომატო კორპუსი, უცხოელი პრინცები და
 მათი ამალა შეიყვანა. 9 საათზე სვლა იწყეს მიძი-
 ნების ტაძარში. ვცდრე მათი უდიდებულესობა, ხელ-
 მწიფე იმპერატორი წაბძანდებოდა, მათის უდიდებუ-
 ლესობის მოძღვარმა იანიშვემა გზა აიაზმით ასუ-

რა, ტაძრამდე. პირველ ბალდახინს ქვეშ, რო-
 მელიც გენერალ-ადიუტანტებს მიჰქონდათ, იმპერატ-
 რიცა მარამ თეოდორეს ასული მოდიოდა, მას თან
 მოდებდენ ორი ასისტენტი — დიდი მთავარი ალექ-
 სი ალექსანდრეს ძე და დანიის პრინცი. შემდეგ
 იმპერატრიცისა მოდიოდენ სასახლის სეფე-ქალნი.
 მუსიკამ ამ დროს რუსული სახალხო სიმღერა და-
 უკრა. ხალხი ალტაცებით მიეგება ხელმწიფა იმპე-
 რატრიცას. მეორე ბალდახინს ქვეშ, რომელიც ასე-
 ვე გენერალ-ადიუტანტებსა და ასისტენტებს მიჰქონ-
 დათ, მობძანდებოდენ ხელმწიფე იმპერატორი ნიკო-
 ლოზ ალექსანდრეს ძე და ხელმწიფა იმპერატრიცა
 ალექსანდრა თეოდორეს ასული. მუსიკამ ამ დროს
 რუსული სახალხო სიმღერა დაუკრა და გაისმა „ურას“
 ძახილი. ეკლესიებში ზარების რეკა დაიწყეს, ტაინი-
 ცის კოშკიდან ზარბაზნებს ცლიდენ. საიმპერატორო
 მიძინების ტაძართან რომ სამკაული მიიტანეს, წინ
 გამოეგებენ მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიტნი
 და აიაზმა ასხურეს. როდესაც მეფე-დედაფალი მი-
 ძინების ტაძრის კარისბჭეს მიუახლოვდენ, წინ შეეგე-
 ბენ მიტროპოლიტნი — პეტერბურგისა, მოსკოვისა,
 კიევისა და უმაღლესი სამღვდელთა. მოსკოვის
 მიტროპოლიტმა სიტყვით მიპართა იმპერატორსა და
 იმპერატრიცას, პეტერბურგისამ ჯვარს ამთვევია და
 კიევისამ აიაზმა ასხურა. რვა საათზე ტაძარი უკვე
 სავეს იყო. მარჯვნივ, საკურთხევის წინ, დიდი
 მთავარნი და უცხოელი პრინცები იდგენ; მარცხ-
 ნივ — დიდი მთავრინანი და უცხოელი პრინცები.
 შემდეგ უცხოეთის სადიპლომატო კორპუსი, უცხოე-
 თის წარჩინებულთა და უდიდესთა ამალა, სასახ-
 ლის სეფე-ქალნი, სასახლის კაცნი, თავდაზ-
 ნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავებუ, რუ-
 სეთისა და უცხოეთის კარესპონდენტნი. დილის
 9 საათზე მობძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მა-
 რიამ თეოდორეს ასული. იმპერატრიცას შემდეგ
 მობძანდენ მათნი უდიდებულესობანი. 10 საათსა და
 4 წამზე ხელმწიფე იმპერატორმა ხმა მალლა სიმბო-
 ლო სარწმუნოებისა წაიკითხა. 10¹/₂ საათზე ვერი-
 გინი დაიდგა და სამი წამის შემდეგ ხელმწიფა იმ-
 პერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულსაც და-
 ადგა თავზე პატარა ვეარგინი. მისი იმპერატორე-
 ბითის უდიდებულესობას ტიტულის წაკითხვის შემ-
 დგე ზარბაზნების ცლა დაიწყეს. შემდეგ მიულოცეს
 საიმპერატორო ვეარეულაბის წარმოადგენელთ, უს-
 ხოელმა პრინცებმა და პრინცესებმა. 10 საათსა და
 5 წამზე იმპერატორმა მუხლი მოიყარა და დადგე-
 ნილი ლოცვა წარმოთქვა. შემდეგ პეტერბურგის მიტ-
 როპოლიტმა წარმოთქვა ლოცვა. ხალხმა მუხლი
 მოიყარა. მირანტებისა და წმ. საიდუმლოს მიღების

შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მთავარ ანგელოზისა და ხარების ტაძარში მიბძანდენ და იქედან კრემლის სასახლეში. წითელი კარებიდან მათ უდიდებულესობათ ხალხს თავი დაუკრეს. ხალხი აღტაცებულის „ურას“ ძახლით შეეგება. დავეირგვინების შემდეგ გამობძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, რომელსაც ხალხი „ურას“ ძახლით დაუხედა და კრემლის სასახლეში მიბძანდა. მეფე-დედოფალი უკანა კარებიდან გამობძანდენ და აქედან მთავარ-ანგელოზის ტაძარში მიბძანდენ. წინ კავალერ-გრადათა რაზმი მიუძღვოდა, შემდეგ მიჰქონდათ ღროშები — სასახლის გრენადერთა. ხელმწიფე იმპერატორის ბალდახინის წინ, რომელიც გენერალ-ად-უტანტებს მიჰქონდათ, მიდიოდენ სახელმწიფო საბჭოს წევრნი და მინისტრნი. მთავარ-ანგელოზის ტაძართან სამღვდელთა მიეგება. აქ მათ უდიდებულესობათ თვის წინაპართა საფლავებს თავიანი სცეს და შემდეგ ხარების ტაძარში მიბძანდენ, რომ წმ. ხატებს მთხვევოდენ. ხარების ტაძრიდან კრემლის სასახლეში დაბრუნდენ და ხალხს სალამი უწყალობეს. ხალხი აღტაცებულის „ურას“ ძახლით შეეგება.



ე ლ ე გ ი ა.

მოვა დრო, როცა სიკვდილი
კარებზე დამიკაუნებს
და საუკუნო ძილს მომგვრის,
სიცოცხლეს გამინადგურებს!

დადუმდებიან გრძნობანი,
გული შეწყვეტეს ძეგრასა;
ჩანს დაწყდება სიმები,
თავს დაანებებს ქლერასა.

მორთავენ ნათესავები
მოკლე დროებით გლოვასა;
დრო გავა — დაეაწყდები
არ განაგრძობენ ხსოვასა!

სატრფო რა მნახავს კუბოში
მე მის თავიანის მცემელსა,
აუზუყდება გულია და
შეგ ჩამომაყრას ცრემლებსა.

და იმ ცრემლებზე მიწაში
ვარლი გაიდვამს ფესვებსა
აღმოცენდება ზეეთა,
სამარეს დამიშვენებსა!

და გაზაფხულზე ბუღბუღი
შემოფრინდება ვარდზედა;
მომართავს სიმებს-დაუკრავს
საუცნაურო ჰანგზედა.

და იმ სურვილის ამბებსა,
რაც რომ წამყვება საფლავში,
მეტყვის ყოველსა — ვიცი, რომ —
ურას არ მეტყვის ამაში.—

და რა დამღერებს: — ერთობა
აყვავდა უკვე ჩვენშიო,
ძმა ძმას არ მტერობს წინანდლებრ
დანას არ უყრის ყელშიო;

მოისპო შური ძმებს შორის,
დამყარდა სიყვარულიო,
ყველგან ერთობა, სიმტკიცე,
ძმობა და სიხარულიო;

გატყდა მონობის უღელი:
იხარებს დაჩაგრულიო
და მტერი შურით შეგვეყურებს
განზე გამდგარი, კრულიო!“ —

მაშინ კი ძეგლები საფლავში
იგრძნობენ ნეტარებასა!..
და მოძმეების ნადიმსა
შეუერთებენ ოხენასა!..

კ. გოგოლაძე.



კვირის სურათები.



წყემისი“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მეტათ საყურადღებო წერილი. ამ წერილიდან ჩანს, რომ ყოველად-სამღვდელს ალაყვრდის ეპისკოპოს, ბესარიონს, რომელიც ამ ქა-

მათ მართავს იმერეთის ეპარქიას, კეთილ უნებები მოეხდინა ორი განკარგულება. ერთი ამ განკარგულებათაგანი ეხება სანთლის ქარხნის გაუმჯობესობის საქმეს, ხოლო მეორე ყოველ კვირე-დღესასწაულ დღეებში ქადაგების წარმოთქმას ქუთაისის საკათედრო ტაძარში. სანთლის საქმე ახალ ეპისკოპოსს გადაუცია თვით სამღვდლოებისათვის, რომლიდანაც არჩეული კომიტეტი უკვე განაგებს მას თურმე წარსულ წლის ქრისტეშობის თვიდან. ქადაგების საქმეც წარსულ წლიდან არის დამყარებული იმ დონეზე, რომელიც უცნია საჭიროთ მის ყოველდღესამღვდლოებს.

„მწყემსს“ ორივე ეს განკარგულება მიაჩნია საყურადღებოთ და ორივეზე უთითებს მკითხველებს: „რამდენათ უკეთესათ და უფრო სასარგებლოთ მიღის დღეს სანთლის წარმოების საქმე—ამბობს იგი—ამას დაინახავს მკითხველი სანთლის ქარხნის ანგარიშისაგან, რომელიც იქნება დაბეჭდილი და გამოცხადებული ამ მოკლე ხანში“... „ზოგიერთები, მართალია, ამისთანა საუკუნეებულა წარმოთქმულ ქადაგებათაგან დიდ სარგებლობას არ გამოვიღებინ—განაგრძნობს იგივე ჭურნალი მეორე განკარგულების შესახებ, — მაგრამ ესეც შემიძღარი აზრია. ამ მქადაგებელთა შორის ხშირათ გამოიჩინებინ ნიჭიერნი მთესველნი სახარების სწავლისა და მათგან დათესილი თესლიც, თუ ყველა მსმენელთა გულში არა, ზოგიერთებისაში მაინც მოიპოვებს პოხიერს ნიადაგს და შესაფერ ნაყოფს გამოიღებს“... მაშასადამე, აქაც სარგებლობა გამოდის... მართალი უნდა მოგახსენოთ, ცოტა აჩქარება და გადაჭარბებული ოპტიმიზმი ეტყობა პატივცემულ ჭურნალს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს მეორე განკარგულებაც—ქადაგების ვალდებულობის შესახებ—გამოწვეულია კეთილი სურვილით, მაგრამ არა ყოველი სურვილი ექვემდებარება ბძინებას. რომ კარგი ქადაგება—კარგი და სასარგებლოა, ამას ე-წ არ მიხედება, მაგრამ კაჭკაჭს რომ ბუღბუღლათ ვერ შეგჭმნი, რაც უნდა ეცადო, ესეც ხომ ნამდვილზე უნამდვილესია. ყოვლიფერი ემორჩილება ცდას და ენერჯიას, გარდა იმისა რაც დამოკიდებულია უზენაეს ნიჭზე. უხმოს და სმენა-მოკლებულს ვერ ასწავლი ვალობას, უნიჭოს—მწერლობას, —მუნჯს ქადაგებას... და არა თუ ვერ ასწავლი, პირიქით აენებ, მისთვის, რომ ავალეგ შეუსრულებელ მოვალეობას. ვინ არ იცის, რა სასაცილოა კაცი, როდესაც ის ჰქისრულობს მას, რაც აღვმატება მის მოხერხებას. სხვა რომ არა იყოს-რა, აი თუნდ ის მქადაგებლები ავიღოთ. მრავალ ჩვენთანს უნახავთ ახალგაზდა სემინარიელები, ზემო აღნიშნული სენით შეპყრობილნი და იმისავე წყალობით ყველ-

გან და ყველასაგან ყბად-აღებულნი. ამ სტრიქონების დამწერს, თუმცა ხშირათ არ ხედება ყოფნა სოფელში, მაგრამ მასაც კი შეუძლია მოიყვანოს რამდენიმე მაგალითი. მაშ, რა უნდა თქვას მან, ვინც სულ სოფელშია და ძალა-უნებურათ წამებულია შინაური „ოქროპირებით“. გლეხები — ხომ მეტათ ღეთისნიერნი და მოძღვართ პატივისმცემელნი არიან— ისინიც კი დაცინიან იმ მართლა და სასაცილო მქადაგებელთ, რომელნიც ვილაცას ჰბაძავენ, რაღასაც თქმა ჰსურთ და, დასასრულ, ამბობენ მას, რაც „შენ უწყი მხოლოთ, უფალო!“

მეორე მხრით, ნამდვილი ნიჭიერი და უზენაესი მადლით აღნიშნული მქადაგებელი თავის დღეში არ აცდება დანიშნულებას. ვისაც სათქმელი აქვს და თქმა შეუძლია, ის უსათუოთ იტყის, რა ხიფათიც უნდა შეგხედეს, რა დაბრკოლებაც უნდა გადღობოს მის სურვილს. ნიჭი და მიდრეკილება თავისას იქმს— ამის მაგალითები ვარსკვლავებზე ურიცხვია ისტორიაში...

ერთი სიტყვით, ქადაგების დავალებიდან, ჩვენი ფიქრით, ბევრი არაფერი გამოვა. არა ერთი უშნო და უღაზათო მოძღვრება გაისმის ეკლესიის კათედრიდან და რაც არის, მხოლოთ, სამწუხაროს სასაცილოც მივმატება...

ხოლო მეორე განკარგულება ყოველდღესამღვდლო ბესარიონისა—წმიდა სანთლის შესახებ—დიდ ცვლილებას შემოიტანს სამღვდლოების ცხოვრებაში. ამ საქმეს, თუ ისეთი მამართულება მიეცა, როგორც რიგია, ექმნება, არა თუ ეკონომიური—ზნეობრივი მნიშვნელობაც და, აი, რისთვის.

ამდენხანს ჩვენ, უბრალო მომაცდებებმა, ძალიან ცოტა ვიცოდით სანთლის საქმის შესახებ და ის, რაც ვიცოდით, მეტათ სამწუხარო იყო. ვიცოდით მხოლოთ, რომ საზოგადო საქმე ჩავგდით ხელში ხუთ-ექვს კაცს, რომელნიც რაც უნდოდათ იმას ჩადიოდენ, საიდანაც უნდოდათ იქიდან აზამდენ ქოთანს ყურს, არც არავის ანგარიშს აძლევდენ და არც ვისიმე უფლებას ემორჩილებოდენ. ეს იყო რაღაც აზირებული ამხანაგობა, რომელიც ყველას ბატონობდა, ყველას პატრონობდა და ყველასათვის თითოთ საჩვენებელი იყო. „ჩვენ, ჩვენი, ჩვენ მიერ და, რასაკვირველია, ჩვენთვისო“, —აი მისი „მრწამსი“, მტკიცეთ აღსარებული და კიდევ უფრო მკიცეთ განაყვანი ცხოვრებაში. ამ ვაგბატონთა შორის თურმე იმისთანებიც კი ერიენ, რომელთაც არც წმინდა სანთელთან და არც სამღვდლოებასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ... მიუხედავად მისა, ისინიც, რასაკვირველია, კაი-კაი ლუკმებს ჰყლაპავდენ სხვისი სუფრიდან... ამ გვარმა უკანონობამ ორ

გვარი შედეგი მოიტანა: ერთი რომ მატერიალურათ დასცა სამღვდლოება და მეორე—ზნეობრივი გათახსირება შეიტანა მის წრეში. ყველამ გაიგო, რომ უკანონობა ძალიან მარგებელი და გამოსადეგი ყოფილა, რომ კანონი ერთია და ცხოვრება მეორე, რომ არც ისე ჰქუხს, როგორც ელაეს და სხვა... ეს პრაქტიკული დასკვნა, რალა თქმა უნდა ცხად და ნათელ ფაქტებზე იყო დამყარებული. გუშინდელი ლატაკები ფარჩის ტანისამოსით შეიმოსენ, გუშინდელმა უსახლ-კარო ბიჭ-ბუჭებმა ოცი ათასი მანეთის სასახლეები გამოკიმეს დაბა-ქალაქებში... ევრაფერი არითმეტიკით, ევრაფერი სასწაულით, ევრაფერი მოსაზრებით ვერ ახსნით მას, რაც მოიტანა უკანონობამ—პირ-ახდილმა, აშარმა, უსირცხვილო უკანონობამ, — უკანონობამ, რომელიც ყველასათვის ცნობილი იყო, გარდა იმისა, ვისაც უნდა აელაგმა მისი გაუმადლარი მადა, განუზომელი თავ-გასულობა.

ბოლოს?.. ბოლოს ფული გაჰქრა, მოლარე—ებრაელი ვითომ და ვადიკარვა, ხოლო ამხანაგობის წევრნი კი... იმათ კრინტიც არ დაუძრავთ, ვითომ—და აქ არაფერიაო!..

„მწყემსი“ ამბობს, რომ თუ რამდენათ უკეთესათ არის დაყენებული ახლა სანთლის საქმე, ამას მკითხველი დანახავს იმ ანგარიშიდან, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ამ ცოტა ხანშიო. ამაში, რასაკვირველია, ეჭვი არ არის, მაგრამ საეჭვოა მკითხველი დამყარდეს იმ შედეგით, რომელზედაც მიუთითებებს სასულიერო ჟურნალი. რომ აწი არ იქნება ის, რაც იყო,—ეს ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, რომ ღირსეულათ დაფასდეს, რაც იყო და ყველამ, ვისაც მიუძღვის მასში რამენაირი სამსახური, მიიღოს ჯეროვანი ჯილდო. საჭიროა, რომ დანაშაულობა გამოქვეყნებულ იქნეს, რომ დამნაშავენი არ დაუსხლტენ ხელიდან პირუთენელ სამართალს. ერთი სიტყვით, უნდა ვიცოდეთ, რა ყოფილა, როგორ ყოფილა, ვისი მეოხებით ყოფილა. ამას მოითხოვს როგორც თვით საქმის საჭიროება, ისე ის უზენაესი სტიმული, რომელსაც ზნეობრივ გრძნობას ეძახიან..

ყოველად-სამღვდლო ბესარიონი სულ მოკლე ხანია, რაც განაგებს იმერეთის ეპარქიას. მიუხედავათ მისა, ამ მოკლე ხანშიაც მან შეენიერთ შეტყუო, სადაა ავათმყოფობა, რა სენით გამსჭვალულია მისი ახალი სამწყსო. ხანგრძლივმა ავათმყოფობამ განსვენებული გაბრიელისა ბევრი საქმე არიე-დარია, ბევრი უწყსობა შეიტანა იმერეთის სამწყსოს ცხოვრებაში. სანთლის საქმის ისტორია—ერთი ამ უწყსობათაგანია და მიუტილებლათ საჭიროა, რომ ის

პირველ ყოვლისა იყოს გასწორებული. ვიმეორებთ, გასწორება გასწორებას ჰქვია და მხოლოთ ის სენია განკურნებელი, რომელიც ძირეულათაა განდევნილი სხეულიდან, ამგვარი წამლობა წამლობა, ამგვარი სამართალია სამართალი...

აი, ჩისტვის ველით ჩვენ მოუთმენლათ არა თუ სანთლის ქარხნის ანგარიშს, რომელსაც გვბირდება „მწყემსი“,—იმ „მადრიდის საიდუმლოების“ დასახელებასაც, რომელსაც ასეთი დაბეჯითებით აგროვებდა თავის კვედლთ-შუა იგივე ქარხანა... „СВѢТА, ПОБОЛЬШЕ СВѢТА!..“

გვიმტო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

და
მისი დრო. *)

დამქროლა ქარმან სასტყემან,
თან წარმიტაცა ყვაული...
ნ. ბარათაშვილი.

(წე რ ი ლ ი პ ი რ გ ე ლ ი)



მე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ქართული პოეზია იმდენათ თვალ-საჩინოთ გაიზარდა და შემუშავდა, რომ თავისუფლათ, თამამათ წამოაყენა ნიჭითა და კაცთ-მოყვარე გრძნობე-

*) „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსთა გამოცემას დიდი ხანია ვუცდიდით და შარშან, როგორც იქნა, კედისკით მის დამთავრებას. უურხად „გველში“ (№ 45 და 48, 1895 წ.) დასტამული იყო ბიბლიოგრაფიული განხილვა ამ გამოცემის და უმთავრესი შეცდამებიც ნაჩვენებია განსლდათ, ასე რომ, ამ მხრით, ჩვენ სთქმელი აღარა გვაქვს რა. ჩვენც სამწუხაროთ დაგვიჩნა, რომ ბენ მეუნარეას ნაშრომი „ცნობრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“ ამ გამოცემაში არ არის მოქცეული. საზოგადოთ, ამ ბოლო დროს ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიიზერო დიდი ურადლება და იმისმა პოეზიამ აღძრა ცხოველი ინტერესი ჩვენ საზოგადოებას და ლიტერატურაში. მაგალითათ, ბ. ბ. კეზირიშვილმა და.:—მა ზოგადი სიტყვებით დასასაითეს ბარათაშვილის პოეზია. მაგრამ ამ პირებმა სერიოზული კვლევა, განხილვა, ძიება დასახნა ნ. ბარათაშვილის ღირვის განსაკუთრებულ ორიგინალურ თვისებათა და თვით პოეტის შესდელეების უკუაგდეს. ნაცვლათ ამის იგინი იმეორებენ რუსეთში ათას-



მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწივე იმპერატორი
 ნიკოლოზ II და უავგუსტესი მეუღლე მისი ხელმწივე იმპერატ-
 რიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული.

ბით სასვე პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს ამბავი დიდი ყურადღების ღირსია და აქვე მსურს აღვნიშნო ის აშკარა და დაუფარავი გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ახალი პოეზიის ფორმა და შინაარსი მხოლოდ წმინდა ლირიკულია. ლირიკა, პოეზიის სხვა ფორმასთან შედარებით, არა თუ პირველ ადგილსა და ზეგავლენას იჭერს, არამედ განსაკუთრებულ მხოლოდობით მოვლენას წარმოადგენს მაშინდელ პოეტთა აზრისა და გრძობების გამოსახატავათ. ეს ამბავი ცხოვრებისა და დროის ნიშანია და ამ პირშივე შეიღწეოთ ორიოდე სიტყვის თქმა უადგილოთ არ მიგეჟანია.

როგორც მოგვხსენებთ, ლირიკულ პოეზიაში ადამიანის ყურადღებას და აზრს იზიდავს მხოლოდ ის მარტივად, ძალ-დაუტანებლად და გაუჭირებლად გამოთქმული, გულ ახლილად და ღრმად გამოხატული გრძობა, რომელიც წარმოუშობავს და გამოუწვევია სამოქმედოთ თვით პოეტის სულსა და გულში უტყევი ბუნების, თუ ცხოვრების რომელსავე მოვლენებს, ამბავს, და აქაც უპირატესობა მხოლოდ გრძობისა და შთაბეჭდილების მარტივად მიღებასა და შეთვისებას როდი უჭირავს. საქმე ის არის, რომ

ვერ დღეველ სიტყვებს და პოეზიის გამომსატველ ვითამ და უტყუარ ნიშნებს, რომელნიც იმდენად ასურს თუბენ, აფასებენ პანათოშვილის პოეზიას, რომელნიც ეველს, რომელიც და ვინც გინდათ აიღოთ, პოეტის ნაწარმოები ლირიკა ტრფობა-სიყვარული ქაღისა, მეგობრისა, ბუნებისა, სიშენიერისა, სამშობლო ქვეყნისაჲში, — ერთი მიზანით, — გიჲ პოეზია გინდათ, რომ არ დასწავთ იდეას ამ საზოგადო ნიშნებითა, ან მოთავსდეს ამ „ახალ მადის“ უსწავლო და ბუნდოვან კრიტიკის ფორმულებს ფარგალში, რომელნიც თითოეულს გოგონასს შეაქვს ყოველთვის თავისი წვლილი. თქვენი შრომა, ვითარცა კრიტიკისაჲს, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფორმულებს პოეტის ნაწარმოებიდან დეკუსები ამოწმებით შეუფარდოთ და... მოწინა. ზემოთ დასახელებული კრიტიკოსებიც ასე იტყვიან. სოლო უკანასკნელი იმათგანი, ბენი . ვერ ითქმის და თავის ფილოსოფიასაც უმატებს: „დღევანდელი სპირიტობა, ბუნდობობა, გრფი ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბოჲში დახადებულა და დიდი და მატარა მისთვის იმის თაყვანის სარქმელად და ბუკნი სხვა ამისთანა, — განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდელად ყოფილს ბინას ადამიანის მეფდობისას (?) ფუქი დეჲმის და თვით თადიც (!!!) მთელის შენობისა გაიწვება და ჰქმის გადმოქცევა?! („კვირის“ № 77, 1892 წ.) ან, მკითხველო, თუ რა, რა ამბავია!..

სიტყობი.

პოეტი თვით აღნიშნულ შთაბეჭდილებასა და გრძობებს თავისი ბუნების შინაგანი, სულიერი არსების ძალეობით ისე ძლიერად ამუშავებს, არკვევს და თავის ჩანვის მომხიბლველად ერთი ჩამოკერით ასურათებს, რომ მეორე პირის, მსმენელისა, თუ მკითხველის გულშიაც შესაბამს, შესაუერს გრძობებს წარმოშობავს ხოლმე და გააცხოველებს. მაგალითად, სიცოცხლის მომგვრელი, მისის დილის მომჯადოებელის სიშენიერისა და მალაღის მთის ბორცვებიდან გაფენილის ზურმუხტის ფერ მინდორ-ველის ცქერით დატკობა; ზღვაში მიმცურავ გემის მალაღანიდან წარმტაცი ზეირთთა დუღილით, ქაჲს უცნაურად ტრალით თვალ-მოუშორებლოდ გართობა და უქვირფასესი არსების, კირისა და ლხინის შუაზე გამყოფი მეგობრის სიყვარული ბევრს, ძლიერ ბევრს შეუძლია. მაგრამ ბევრს კი არა, ძლიერ ცოტას, მხოლოდ რამდენსავე რჩეულთ შეუძლია ამ შთაბეჭდილებათა და გრძობათა თავის საკუთარ გულსა და მკერდში სისხლად და ხორცად ღრმად შეგნება, ძლიერად შემუშავება და იმათი ისეთნაირად გამოხატვა და გადაქმნა, რომ სხვებსაც, სხვა პირებსაც აგრძობინონ გამოთქმული გრძობის ძლიერება და თვისება. ა, სწორედ აქ არის მთელი შინაარსი, მთელი ძალ-ღონე და პათოსი ლირიკული პოეზიისა.

მაშასადამე, თუ პოეტი ისეთი ლექსის ძლიერებით ჩამოასხამს და გამოხატავს სულიერი მდგომარეობის დაფარულ ხმებს, სახელდობრ ეთქვით, მწუხარებასა, თუ მხიარულებას, რომ მკითხველსაც აგრძობიებს და გაავებინებს ამ მწუხარებასა, ანუ მხიარულების ძალ-ღონეს, ზედ-მოქმედებას — ამით ლირიკოსი, ჩვენი აზრით, სრულიად ასრულებს თავისი მაღლიანი მუჲის დანიშნულებასა და მოწოდებას. ამ მხრით, ლირიკა თითქმის მუსიკით ხმების გამოთქმას უღრის და იმასაც მუსიკასავით ადამიანის გულს სიღრმიდან სულის შემგუბებელი, ან გამამხიარულებელი სიტყვები ამოაქვს.

მაგრამ ამ საგანს პოეტი მხოლოდ ორი გზით მიწვდება. სახელდობრ იმით, რომ გამოთქვამს, გამოხატავს ასეთი, თუ ისეთი ფორმით მარტო იმ გრძობას, იმ სულიერ მდგომარეობას, რომელიც მის გულ-მკერდს ცეცხლის ალათ შემოხვევია, ჰქენჯნის და აღელებს, ანუ დახატავს, ძლიერად ლექსით გადმოგცემს იმ ამბავს, იმ მოვლენებს, რომელიც გარე-შემორტყმულ ბუნებასა, თუ ცხოვრებაში მომხდარა და თვით პოეტის სულიერ ავებულებასა და მდგომარეობაზე თვალ-საჩინოდ უმოქმედნია. აქ პოეტი დასწერს ძლიერი გრძობით ჩამოსხმულს, გულის სიღრმიდან ამოღებულ ლექსს, რომლის მთელი ში-

ნაარსი, სიღრმე-სიგანე, შოთასი არ იყოს, მხოლოდ მოკლეთ ითქმის და მარტივი, უბრალო სიტყვით გამოიხატება. და ეს პოეტის მიერ საკუთარი სისხლით და ოარი-სამი სიტყვით ჩამოსხმული გრძნობა ისეთი ძლიერისა და ამაყრკელბელი კილოთი და მუსიკით იქნება გამოხატული, რომ მკითხველი მოიკვებება, აღიძვრის და ძალაუნებურათ ამ გრძნობას დაემორჩილება...

აქ უნდა შეენიშნო, რომ ლირიკას იწვევს და ასაზრდოებს თვით ცხოვრების, საზოგადოების ასეთი, თუ ისეთი მდგომარეობა. ნიჭიერ ლირიკოსთა დიდებულ გულს მაშინ მოედება ცეცხლის ალი და იწვის, როდესაც საზოგადოებას, ხალხს, ან ამ ხალხის რომელსამე კულტურულ ნაწილს არ შეუძლია, არ ძალ-უძს, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ისაუბროს და იკამათოს გარკვევით, ცხადთ და გულ-ახდილათ იმ ღრმა მნიშვნელოვან მოვლენაზე და საგნებზე, რომელნიც უხილავთ იწვევენ და წარმოშობენ ხოლმე მათში ამა, თუ იმა გრძნობათა და სულის მიზიდულებათა...

შესაძლებელია, რასაკვირველია, სხვა დროსაც, სრულიად მშვიდობიანსა და მოქალაქეთა ბედნიერი ცხოვრების ჟამსაც გამოჩნდნენ დიდი ნიჭის ლირიკოსები. გენიოსებისა და სრულ-ბუნებოვან, თვით-არსი ნიჭის ლირიკოსთა წარმოშობა ისტორიის ფაქტია და ჩვენი საზოგადო აზრის გამოხატულების სიმართლესა და ჭეშმარიტებას არა თუ არყევს, უფრო ამტკიცებს და აშკარაებს. რა თქმა უნდა, ის უფრო შესაძლებელია, რომ სხვა დროს ნიჭითა და შეძლებულობით სუსტი ლირიკოსები გამოვიდნენ ლიტერატურის სარბილზე, მაგრამ ეს უკანასკნელი გადამეტებით და თითქმის ყოველთვის ზემოთ აღნიშნულ დროში მოღვაწე სახელ-განთქმულ ლირიკოსებს ბაძავენ, იმათი პოეზიის ტენიკურ მხარეს ითვისებენ და ბრმა ინერციის ძალით წინანდელთა ძლიერ ხმა-სა და გრძნობების გამოთქმას ბანს აძლევენ და ინსტინქტურათ განავრძობენ...

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს გარემოება ლირიკული პოეზიის წარმატებას მაინც და მაინც ევრაფერს აკლებს. ცხოვრების და გვართ ლირიკოსაც ეტყობა ზრდა და თან-და-თანობით წარმატება. იმასაც ეტყობა თავისი შინაარსითა და ხასიათით კაცთა გრძნობა-გონების განთავიზება და გაკეთილშობილება. ლირიკულ ნაწარმოებთა შინაარსის უმთავრეს საფუძველს ადამიანთა გულის მხიარულება და მწუხარება შეადგენს. რამდენათაც ცხოვრებაში იზრდებოდა ადამიანისადმი თანაგრძნობა, იმდენათ ლირიკაც მეტს ყურადღებას აქცევდა უმთავრესათ კაცის სულიერ მდგომარეობას: მწუხარებასა და მხი-

არულებას, გულით აღტაცებასა და ოხვრას. წინეთ, ძველ დროში, ყოფილი ლირიკა, რომელიც მომეტებულათ ომებისა, ბრძოლათა საშინელი დასურათებით ართობდა ველური კაცის ინსტინქტებს, რომ შეეუღარათ ახალი, ჩვენი დროის ლირიკას, სადაც სისხლისა და კაცთა ქლეტის მაგიერათ იხატება ადამიანის სულის კეთილ-შობილური, განწმენდილი მოძრაობანი, რომელნიც მკითხველთა გრძნობას ზრდიან „ტივით მიმეთა და მაშვრალთ მხსნელათ“—და-ეინახეთ, რომ კაცის აღსაზრდელათ ლირიკასაც წარმატებით უვლია, ახალი სფერა მოუწახსეს და ახალ ნიადაგზე დამდგარა. და რამდენათაც გრძნობა-გონების შეძლებულობით მძლავრათ მომქმედნი შემბულან ლიტერატურის სამოქალაქო დანიშნულების მიმეუღელში და იღვწიან ცხოვრებაში, იმდენათ იზრდება საზოგადოთ ტენის ნაყოფიერი ძლევა-მოსილობა და კრიტიკის შეუპოვარსა და ღრმა პირუთენელ მსჯელობასაც აქ ფასი ეძლევა. მაგრამ, რა გაეწყობა, თუ ცხოვრება ყოველთვის ხელს არ უწყობდა ლირიკის ღრმათ და მაღლიანთ გაფართოებას და დიდ-სულოვან, სახელოვან პოეტებსაც კი „გულს უტესებდა წვეთ-წვეთათ ნაღვლით, მწუხარებითა“; წყევლა-კრულვით და შეჩვენებით იხსენებდენ იგინი ადამიანთა საღვურს, ქვეყნიერობას...


ინგლისში, მაგალითათ, მე XVII საუკუნეში, რევოლიუციის ქარიშხლის ჩაყარდნას, ლოლიკურათ მოჰყვა ცხოვრების არეულ-დარეული და გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელიც თავის მხრით შევლიდა და ხელს უწყობდა ისეთ პოეტთა და მწერალთა გამოჩენას, რომელთაც მხოლოდ შთაბეჭდილებასა და გრძნობების ვარჯიშზე შეეჩერებინათ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის ძალ-ღონე. თუმცა კი, ყოველ ეჭვს გარეშე არის, რომ ეს ვარჯიში საიდუმლოთ, ფარულათ უმზადებდა ვრცელ ნიადაგს მე XVIII საუკუნის ლიტერატურულსა და თითქმის ფილოსოფიურ მოძრაობასაც. დიდი რევოლიუციის ნაყოფიერ გრიგალს მთელ ევროპაში პირველათ მოჰყვა რეაქცია, რომელმაც ლიტერატურას აზრი აუბნია და პირი წარსულისაკენ მიუბრუნა... პირველ ხარისხოვან პოეტთა შემოქმედებითი ნიჭის შეძლებულობა მთელი თავისი თვისებითა და სიღრმით მაღლა, ღრუბლებს ზევით, ავარდა და იქიდან ზიზლით დაუწყო ყურება ბევრრული კაცობრიობის ცხოვრების განვლილს გზას. ბოლოს, რასაკვირველია, ეს გზის აქცევა და რეაქციაც არ დაჩენილა უმნიშვნელოთ და უსარგებლოთ, საზოგადოთ, აზრის ზრდისა და წარმატებისათვის...

როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთშიაც ამ დროს იზადებინ ისეთი ლირიკოსნი და სხვა-და-სხვა

გვარი სწავლა-მოდერების მიმდევარი მწერლები, რომელნიც გრძობისა და შემოქმედების ძალ-ღონით შექმნილს სარწმუნოებაზე ცდილობენ „სიკვდილისა და ჯოჯოხეთის“ შეილთა ცხოვრების მომართვას. ესენიც განზე დადგომიან უღვთოთა ზრახვასა სოფლისასა და განუსაზღვრელი ზიზლით უცქერიან სააქო ცხოვრებას. ეგვე ამბავი მოხდა გერმანიაში და გაძლიერდა ნამეტურ მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ I ბარბაროსულ აონრებას გადაურჩა ეს ქვეყანა და ეროვნული დამოუკიდებლობისა და ადამიანური ღირსების დაცვის გრძობების ზვირთთა დაიწყეს ბრძოლა და მოძრაობა. თუმცა უფრო შეუმჩნევლათ, მაგრამ მაინც თითქმის იგივე ამბავი მოჰყვა რუსეთში, ალექსანდრე I მეფობის დროს და დეკაბრისტების მოძრაობას, როდესაც ლირიკულ გრძობაზე დამყარებული მაშინდელი თაობა დროებით ამუშავდა და მალე დასუსტდა კიდევ...

სომელები.

(შემდეგი აქნება)



გ უ ლ ს.

რათ მინდა გული, თუმც მგრძობობარია,
ტანჯული, მწვარი, ბედით ბეჩაფი,
ზღუდე ვაების, უთანავგრძობაო,
შიშით დრო-ჟამით გაუბედავი.



რათ მინდა გულის უბრალო ძგერა,
შხამ და ნაღველში მარად მტურაეის,
თუ ამის მეტსა ვერა რას იტყვის:
„ნუ მიენდობით წრფელათ ნურაეის“



რათ მინდა გული, სატრფოს ვერ ვუძღვნი,
ძმას და მეგობარს, ველარ ვენდობი,
უიმედობით ძალა მიხდილი,
და თუ კი ვერ-ვის ვერ მოვეწყობი.



ღვე, ის უჯობს, დაჟვაროს მიწამ,
ჭიამ, გველებმა, დაგლიჯოს სრულათ,
სიცოცხლეშიაც ამ გვართ ჩვეულს,
შავ ქვესკნელშიაც მოექცენ მტრულათ.



რათ მინდა გული და ან სიცოცხლე,
მწვარი, ტანჯული, ბედით ბეჩაფი,
თუ თანავგრძობას ვერ ვააცხადებს
შიშით, დრო-ჟამით გაუბედავი.

ჟუსტი.



ბ ა შ ი — ა ჩ უ ტ .*

(დასასრული)



კორთაში მღვდელ მთავარმა გამოიყენა წირვა, პარაკლისი გადაიხადა და აიხშა ასხურა ჯარს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშკარი იმერეთში მიდიოდა, მაგრამ იმ ღამესვე ელიზბარმა და შალვამ მხარი უქციეს და საიდუმლოთ კანეთისკენ მიემართენ; გზაში არაგველები დაუხედენ, სულ დარჩეული ვაჟკაცები. წინ კირილე მღვდელი უძღოდათ წმ. გიორგის ხატით და შეუერთდენ. დიდის სიფრთხილითა და სისწრაფით გაველს გზა, გადაიარეს მთა და ჩაივდენ ახმეტაში, სადაც ბიძინა ჩოლაყაშვალი დაუხედათ დიდი ძალი ჯარით. აქ ბიძინამ, როგორც მთავარ სარდალმა, ორათ გაჰყო შეერთებული ჯარი: ნახევარი თავისთან დაიტოვა; მეორე ნახევარი მრავალ გუნდებათ დაჰყო და აქეთ-იქით, სხვა-და-სხვა მხრისკენ გაისტუმრა, რომ ერთსა და იმავე დანიშნულ დროს ყველგან თავს დასხმოდენ თათრებს მოულოდნელათ.

უმთვარო ღამე იყო; პირველ მამლის ყვირლზე, როცა ქვეყანა მიწყნარებული იყო და მხოლოდ მდინარეების ერთნაირი უხუილი შორს და შორს უწევდა, ავარდა ალი მრავალგან გაღმა-გამოღმა ალაზნის პირათ, მოედვა ულუსების სახლ-კარობას და გააქათქათა არე-მარე. დასცეს კიჟინა და მას-თანვე მოჰყვა საზარელი ვაი უისა და გოდების ხმა. გავარდნილები ბაში-აჩუკის თაოსნობით დევსნენ თავზე თათრებს და დაუწყეს ქლეტა. იმავე დროს ბახტრიონს შამოერტყენ არაგველები, ციხე ვალაფანს გადაეცენ თავს ფშავ-ხევსურები და გააველს მუსრი; ესევე ამბავი მოხდა ბევრგან სხვაგანაც და დაიძრა ბიძინას წინამძღომლობით მთავარი ჯარიც. ფეიქარ-ხანს, რომ სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ცნობა მოუვიდა, შეშფოთდა და აბღუ-შაჰის თაოსნობით მთელი მისი მხედრობა მიაგება წინ ქართველ ჯარს. მაგრამ ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ მოულოდნელი და ზარ დამცე-

მი ამბავი მოუვიდა: ერთ ვიწრო ხეობაში მოასწრეს თათრის ჯარს შეიმწყვდეს და იარაღი დააყრდენინა და აბლუ შაპილიც ტყვეთ წაიყვანესო.

ეს სულ იმან ქნა, რომ აბლუ-შაპილიმა არაივის რჩევა არ დაიჯერა და გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ ღრიანკელში შეიყვანა ჯარი, რომ გაშლა არ შეიძლებოდა და საქრაობა აღარ ჰქონდათო. იმავე დროს კი, თურმე იქვე ახლო ჩასაფრებული ქართველი ჯარი, შამოერთყა გარს, თვალის დახამხამებამდე გადაუჭრა უკან გასაბრუნებელი გზა და თითქმის დატყვევებულებს დაერაო. ამის გამგონე ფეიქარ-ხანი შიშის ქარმა აიტანა და ათრთოლებული ხმით ბრძანა, რომ ჯანდიერისთვის შეეტყობინებიათ, მაგრამ სწორეთ იმავე დროს მოიჭრა ერთი ცხენოსანი და აცნობა: ჯანდიერმა გელალატა და მისის ქართველებით ჩოლოკაშვილისკენ გადავიდაო. თავზარ დაცემულმა ფეიქარ-ხანმა დიდხანს ხმა ვეღარ ამოიღო და ბოლოს თითქო თავისთეც წაილაპარაკა: აკი ჩოლოკაშვილი დამბლა იყო და ჯანდიერა ჩვენი ყურ-მოჭრილი ყმაო? ჰა, ვიარა! ახლა კი ეხედავ რაც არის, მაგრამ რაღა დროს! თქვა კბილების ხრტენით.

—ცხენიო!—დაიძახა, მოაჯდა უნაგირს და ისეთი სისწრაფით გაუდგა გზას, რომ ორმა სამმა მხლებელმა ძლიერ მოასწრო გაყოლა. ის იმდამსვე ქურდულათ გაედა კახეთით და მეორე დღეს, სამშვიდობოზე გასული, სპარსეთისკენ მიეშურებოდა მისის ორიოდ მხლებელით. დარჩენ თათრები კახეთში უსარდლო თ და უპატრონოთ და აქაიქ ცოხე სიმაგრეებში ჩაეკტილები მხოლოთ იმას ფიქრობდენ, თავი როგორვე გადაერჩინათ, მაგრამ წელ გამართული და გაგულადებული კახელები მოსვენებას არ აძლევდენ. ისინი, ვინც გუშინ თათრას ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდენ, დღეს პირველი თავდადებულ ქართველები გახდენ და რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გარწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო. დახშული ეკლესიების კარები გაიღო და ხელ ახლა გაისმა ზარების რეკა; გულის სიღრმეში ჩაეჭრა დიდსა და პატარას, როგორც ნიშანი საქრისტიანო, ის ეკლესიის ენა და შეიქნა საერთო ლიტანიობა; ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მალაღი და დაბალი, ყველა ერთ ხმით აღიდებდენ ღმერთს და აქებდენ ვიწარებს. ბიძინასი, შალვასი და ელიზბარის სახელი ყველას ტუჩებზე ეკრათ აღტაცებით. კახეთის სიხარული ქართლელებსაც გადაედოთ და მათ თანაგრძნობას მათი მეფე ვახტანგის გულში დასტურს აძლევდა! მაგრამ როგორც შაჰნავაზი კი, ვითომ ჯავრობდა და პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა.

—როგორ გაბედეს ერ-სთავებმა ჩემი ურჩობა და დიდებული შაჰ-აბაზის ღალატო?!

შაჰ-აბაზმა რომ ეს ამბავი გაიგო ფალენჯის ქარმა მოუარა და ფიცხელი ბძანება შეუთვალა განჯის ხანს:

—კახეთი შენთვის მიბოძებია, წადი და ააოხრეო! ხანმაც წყალობისათვის მადლი მოახსენა დიდებულ შჰას და გამოტყნული შეუთვალა:

—თუ მანდღან ჯარი არ მამაშველეთ, ახლა ისე გაგულადებული და გამაგრებული არიან კახელები, რომ ჩემი სახანო ერთი ორათაც რომ უფრო მეტი იქოს და უფრო ძირელი მაშინაც ვერ გაგებდავ კახეთზე სამართ მისელას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ვერას გაეცდები და თავს შევირცხვენო. ამ მოხსენებამ, უფრო მეტათ დააღონა და დააფიქრა ყვენი. ბრაზი მოაწვა გულზე და სირცხვილის ოფლი ასკდებოდა. ამ დროს მოუვიდა ქართლიდან შაჰნავაზის წერილიც, სამძიმარს უთვლიდა და თანაც ატყობივბდა:

კახეთის გამარჯვებამ ქართლიც შეარყია; ერისთავები გამიდგენ, აღარას მიჯერიან და მოიღეთ წყალობა, თქვენი უძლეველო და ქვეყნის დამპყრობელი ჯარი მომაშველეთ, რომ ურჩები ისევე დაეიმორჩილო და კახეთსაც საშვილი-შვილოთ შეგანანო თქვენი ორგულობაო. ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ: დღევანდელი გამარჯვებით იმდენათ წელ გამაგრებულია ქვეყანა და გათამამებული, რომ თუ არ დიდძალი ჯარით ცოტათა ვერას გაეცდებითო. შაჰ-აბაზმა გადაიკეთხა წერილი, დაქმუქნა ღ დაახეთქა ძირს!

—ესეც იმას იწერება!—თქვა წარბებ-შეჭმულხვებით —დიდძალი ჯარითა?! ჰმ... ასე ჰგონიათ, თუ მართო მათთვის ვიყო მოცლილი და მეტი საქმე აღარა მქონდესა?! არა, ახლა დრო არ არის! დროს შერჩევა უნდა და მე ვიცი, როგორ გადაეუხნე მაშინო. დაწერა პასუხი და მურთუხალ ხანის ხელით გამოუგზავნა ქართლის მეფეს. საპირფერო და სამლიქენელო სიტყვებით აავსო წერილი. მადლობას უთვლიდა ერთგულებისა და მოაჩივრებისათვის, მაგრამ ურჩევადა, რომ ასე-გულფიცხათ არ მოჰქიდებოდა საქმეს. „მართალია, ვერ უნდა გავებდნათ კახელებს ამისთანა საქმეო,—იწერებოდა ვერავი—მაგრამ როგორც შევიტყე სულ მანდაური მმართველობის ბრალი ყოფილა: წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა დიდ გაჭარებებაში თურმე ჩაუგდიათ ქვეყანა და კახელეობიც ძღულებული ყოფილან, რომ მაგრე მოქცეულიყვენ. ველი შენგან ამ საქმის გამოკლევას და დწერილობით მოხსენებას, ამასთანავე გაეღებ, რომ ვე გამოჩენილი ვაჟაკები ჩემ კარზე გამოგზავნო; მე მინდა რომ სამივე ჩემი თვლით ენახო და რო-

გორც წინდაწინვე ჩემგან შენდობილებს ჩემი პირით გამოგვითხო ყოველივე ჩემი ტკბილად და არა მრისხანებით. ვიფიცებ ჩემ მშეს და თვით მაშადის წვერებსაც, რომ ეგენი აქ საკადრისათ მივიღო და გულ-დაწვეტილ — მომდურავე არც ერთი არ დავაბრუნო; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ჩემი ტკბილი წყალობა არ დაფასეს და კიდევ ურჩობა გამოიწიეს, მაშინ ეფცავე ყოველის შემძლებელს, რომ ამ ჩემ უკადრის შეურაცხებას არა თუ მარტო კახეთს, მთლად საქრისტიანო საქართველოსაც ვაზღვევინებო და მე რომ ვერ შეეძლო, საშვილი-შვილო ანდერძათ დავადებ ამ სურვილსა*.

ორჯულ-სამჯულ გადაიკითხა ვახტანგმა ეს წერილი და მუქარა. მწუხარეთ გაიღიმა და თქვა გუნებაში: მეც ამას ველოდი ჩემი წერილის პასუხათ! ჩვენ ორივე ერთ სოროში ვართ გაზდილი! გიცნობ რაც ხარ შაჰ-აბაზ! ჯერ ჯერობით ლომობა რომ აღარ გაგიდის, მელობას ეპოტინები, მაგრამ ღმერთი ყოველის შემძლებელია, შეძლება ისიც მოგიცდესო! ჩაფიქრდა ნაღვლიანათ და ჩაჰკიდა თავი.

დიდი ხანა ქართლ-კახეთი ისე მოსვენებით არ ყოფილა როგორც 1659 წელში. შემოდგომა მიწურული იყო, ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღეები იდგა, თითქო ქვეყნის დამშვიდებულ გულს, ტაროსიც კი ეტკბილ-დატურებო. ვახტანგმა მთელი ქართლისა და კახეთის დიდებულები შეჰყარა სადარბაზოთ. თითქმის არაინჰკლებია და მათ რიცხვში კახეთის გმირებიც მოჰყვენ.

მეფემ დარბაზი გამართა, შაჰაბაზის მოწერილი წიგნი წაიკითხა და რჩევა ჰკითხა დიდებულებს. უმრავლესობა უარზე დადგა: როდის ჰქონდა სიმტკიცე მაშადის წვერებს სპარსელის პირში? და ან ყენის სიტყვა რა დასაჯერებელიაო? ცხადია, რომ მაგათი მიტყუება უნდა საღალატოთ და ეს რომ მოხდეს ჩენი თავი ცოცხალი რალათ გვინდაო! ზოგიერთები სულ სხვა აზრისა იყვენ და მათ მხარი მისცა არაგვის ბატონმა ზაალ ერისთავმა ამ სიტყვებით: — მართალი არის... და ვინ არ იცის, რომ ყენი ჩენზე გულს ვერ გაიწმინდს და მოყვრობას არ დაუწყებს ერისთავებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, გარემოება ნებას არ აძლევს, რომ თავის გულის პასუხი გამოამჟღავნოს და მტრობა გამოაგვიცხადოს. ან რა ანგარიშია ახლა რომ შორიდან მუქართა და წინ დაუხედაობით საქმე გაიფუტოს. მართალია, დღეს ქართლი სპარსეთის საკუთრებას არ შეადგენს, მაგრამ მისი ხელ-დებული მაინც არის. სიფრთხილე მართებს ყენს, რომ საზღვარს არ გადაცილდეს, თორემ ერთი კიდევ ამისთანა გამარჯვება, როგორც კახელებ-

მა ნახეს და მაშინ ძძლებული შექნება ქართლ-ზედაც ხელი აღლოს. ეს კარვით ესმის შაჰ-აბაზს და თუ არ სამოყვროს, სამტროს არას ჩაიდენს. უეჭველია, რომ კახეთს გმირებს, სპარსურთ პატივით მიიღება და დიდებით გამოისტუმრებს. მერე კი, როცა დრო ხელს მოუმარჯვებს, მეღასავით, შემოგვეპარება და ეცდება გვაზღვევინოს; ეს უნდა ეცოდნეთ და მზათ ეიყოთ. მაშადი კი უნდა დრო მოეინმაროთ და მიეყუეთ მის დღევანდელ ნება-სურვილს, მით უფრო რომ საშაში არა არის-რა და თუ არა, მაშინ თავ-მოყვარება იმდენათ გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის გამართლებას. დარწმუნებით შემოძლია ეთქვა, რომ, როგორც ჩემ სძვის, ისე ერისთავებს იქ სახიფათო არა ელით-რა, თუ ღეთის ნება არ იქნება და თუ მისი ნებაა, მაშინ აქაც რომ იყვენ, მაინც ვერ აცდებან განგებასა!.

ამ სიტყვებმა ბევრს გამოაცხლვეინა აზრი, მეფეც დაეთანხმა და ბოლოს ჯერი მიდგა თვით ყენის მოთხოვნილებაზე. პასუხის ნაცვლათ წამოდგა ზეზე მოხუცი ელიზბარი, მიდგა სარკმელთან, გაიხედა შიგ და დაფიქრდა: დარბაზი გაოცებით შეაჩერდა. — ბატონო მეფე — მობრუნდა და თქვა ერისთავმა — ამ თქვენ ჰადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გაცივინა?

— როგორ თუ რა დამართნია — მიუკო გაკვირვებით მეფემ — რაღა დროს ფოთლებია ზამთარი დგება.

— ვაი თუ გახმეს უფოთლოთ?

— როგორ თუ გახმეს? გაზაფხულზე განა აღარ შეიფოთლება?

— დიან შეიფოთლება ჩემო ხელმწიფე და ჩემი პასუხიც ეს არის დღევანდელ სადარბაზო კითხვაზე. როგორც მეფე ისე დარბაზილები გაოცებული შეაჩერდენ, ეგონათ თავის გონებაზე აღარ არის და ბოდაესო, მაგრამ ერისთავმა ნაღვლიანი ღიმილით განაგრძო: დიდებულა ხელმწიფე! რაც ფოთლები ხ-სათვის, ჩვენც ისე ვართ ქვეყნ-სათვის და რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში აღარც ერთი აღარ ექცნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენ აღვილს. ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსო*. საქართველოც ჩენი ცხოვრების ხეა საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგული და ზედ ქრისტეს რჯულია დამყნლი. სანამდი მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაკრათ ექნება გადმული შტოების შერხვეითა და ფოთლების დაცვინით არა უქირს-რა. ჩვენც ერთი ფოთლებთაგანი ვართ, აღრე თუ გვიან დასაცივინი და ჩენი მიზეზით რათ უნდა მიაღვეს გაჭირვება სამეფოს? არა, ჩემო

დიდებულო მეფე, ჩეენ, უეკველია, უნდა ვიახლოთ ყვენს და რაც მოსავალია — მოგვივიდეს!

ბატონო მეფე — წამოიძახა ჩოლოყაშვილმა — ჩეენ სამივეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოდ დავამატებ, რომ ხე, როგორც მცენარე მოურწყევლათ ვერ იხარებს, ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლათ და ფესვების განზე გასადგმელათ, ოფლთან ერთათ, ხანდახან წმიდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირება სარწყავათ! ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩეენი ქვეყანა და დღეს, თუ განგებას ჩეენთვის წილათ უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მოჩივებით თავს დავდებთ!.. საქართველოს ქირიც წაგვიღიაო! მივიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში. „ამინო!“ დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათკენ. დარბაზს ქრუანტელმა დაუარა. ჩამოვარდა ხანგძლივი სიჩუმე, მივიდა მეფე ხმა ამოუღებლათ, გადაეხვია სამივეს და გადაკოცნა. რამდენიმე კურცხალი გადმოგორდა ინით შეღებულ წვერებზე და დევცა ძირს. ეახტანგმა მიუთითა ზედ სამივეს და უთხრა: აი, ეს იყოს საწინდარი ჩემსა და თქვენ ოჯახებს შუაო.

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ შალვა, ელიზბარ და ბიძინა აღმოსავლეთისკენ გზას აღგენ და სპარსეთისკენ მიდიოდნენ. სწორეთ იმავე ღროს დასავლეთისაკენ გადაეშვენ კორტახს სამი ცხენოსანი. აბლუ-შაილ, პირი-მზისა და ბაში-აჩუკი. ხმა ამოუღებლათ მიაჩქარებდნენ ცხენებს სხვა-და-სხვა ფიქრებით მოკული: აბლუ-შაილისთვის ყველგან ბაღდადი იყო, სადაც კი მისი სატრფო იქნებოდა, სიყვარულით გამსჭვალულ პირი-მზისას ფიქრებოდა, რომ სამშობლოში გადაეტანა თავისი ბედნიერება და ბაში-აჩუკს კი მაინც ჭ მანაც მაგდენათ აღარაფრათ ეპიტნავენოდა იმერეთი; რადგანც გაიგო, რომ მისი კახეთისკენ გადაეარდნის მიზეზი, რაჟის ერისთავისთვის მიუთხოვებიათო. — იმერეთმა დედა-შვილურათ მიიღო ორივე ვაჟკაცი.

ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლ-კარობას და აბლუ-შაილიც ჩაესიდა. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე ცოლი-ძმას, მაგრამ ბევრჯელ კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის ღროს და სამაგიეროთ აღგილ-მამულიც ბევრი შეიძინეს საწერეთლოში. ცხოვრებდნენ მყუდროთ და მხოლოდ ერთხელ კი შეშფოთდნენ. ეს მაშინ როდესაც გაიგეს, რომ მათი საყვარელი კახეთის გმირები სპარსეთში უწამებიათო. — ბევრს ეჭირა თვალი სასიძოთ ბაში-აჩუკისაკენ — ანუ როგორც შემოკლებით ეძახოდნენ, ბაჩუკისაკენ, მაგრამ გაუცრუვდით იმედი, ის ცოლ-შვილის მოკიდებას არ აპირებდა, სანამღი წერეთელი არ მოკვდა და ერის-

თაიც არ მიიცვალა! მაშინ კი გადავიდა რაჭაში, მოიტაცა ქერივი ჭ ჯვარი დაიწერა. უშვილ-ძიროთ არც სიძე და არც ცოლის ძმა არ გადასულან: აბლუ-შაილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩეენში აბლუ-შვილები და ეტყობათ კიდევ, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ. რაც შეეხება ბაში-აჩუკის — ანუ ბაჩუკას ნაშვიერს, ისინი უფრო გამრავლებულიც არიან დღეს, მაგრამ ბაჩუკა შვილობას ხულებენ და ბაქრატეობაზე დებენ თავს და დაუბრუნდებიან თუ არა ბაჩუკა შვილობას, ის ღმერთმა იცის.

აკაკი.



კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჟანაშვილი. შოთა რუსთაველი, თბილისი. 1896 წ.)

„დღემდის საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენია და აჯერ არც შესაძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს“.

გ. წერეთელი.

(შემდეგი *).



როცა რომლისამე მწერლის ერთ რომელსამე თხზულებაზე გვაქვს მსჯელობა, ჩეენთვის საჭიროა ამ უკანასკნელის საფუძვლიანათ დაფასებისათვის თვით ამ მწერლის საზოგადო ხასიათის ანუ მიმართულების გაცნობა, რამდენიმეთ მაინც. ჩეენც გესურდა ასე მოვექცეულიყავით, როცა ბ. მ. ჯანაშვილის „შოთა რუსთაველის“ გარჩევა განვიზრახეთ, მაგრამ ახლა ხელს ვიღებთ ამნაირი განზრახვიდან, რადგანაც ეს შორს წაგვიყვანდა. შეენიშნათ აქ მხოლოდ, რომ ავტორს აურჩევია თავის სამოქმედო ასპარეზოთ ჩეენი ისტორიის შესწავლა. ეს განზრახვა, როგორც ვიცით, მეტათ სასარგებლო და მოსაწონია. მაგრამ ის სხვა კითხვაა, თუ რამდენათ ნაყოფიერი გამოდგა ბ. მ. ჯანაშვილის მოღვაწეობა ამ ასპარეზზე. მართალია, მისი „საქართველოს ისტორია“ შარშან მეთრეთაც გამოიცა, მაგრამ ეს ხომ იმნაირი შრომაა, რომელიც ავტორს სახელს ვერაოდეს ვერ მოუხევეს. ამას გარდა, მკითხველის ყურადღება უნდა მიიქცეოთ ავტორის სამ პაწაწი-

* ის. „გებელი“ № 20.

ნა შრომას: „საუნჯე მეთე საუკუნისას“¹⁾ „აღედგინეს“ და „მოსე ხონელი და მის ამირან-დარეჯანანს“. ჩვენ ცოტა ხნით შეეჩერდებით ამ უკანასკნელ წერილზე, რადგანაც მას აქვს მჭიდრო კავშირი „შოთა რუსთველთან“. კავშირი ეს გამოიხატება იმაში, რომ ბ. მ. ჯანაშვილი თავის წიგნაკში „მოსე ხონელი“ იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ გენეალოგიას: ჯერ დაბადებულა ლევენდა ამირან-პრომეთეოსი, რომლის კალაპოტზე აშენებულა მოთხრობა „ამირან-დარეჯანიანი“; ამ უკანასკნელს კი წარმოუშობია „ვეფხისტყაოსანი“. „ეინ იცის-ამბობს აეტორი — აქამდის ამბათ ნათქვამი, აწ დაეჯე რუსთველმან და გავლექსე“ იმას ნიშნავდეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნასიტყენი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ „აწ მარგალიტი წყობილი“ (პოემა).²⁾ ამნაირათ ბ. ჯანაშვილი თავისი გენეალოგიით მოგვეგონებს კარგათ ცნობილ ბიბლიურ თხრობას: აბრამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ და ძმანი მისნი და სხვ. მაგრამ აეტორი უფრო აზნელებს თავის გამოკვლევის საგანს, როცა ალფეგორიულათ ხსნის, როგორც „ამირან-დარეჯანიანს“, ისე „ვეფხისტყაოსანსაც“. ჩვენ კი გვეგონია, გვეუბნება აეტორი, ამ წიგნში („ამირ.-დარეჯ.“) ალფეგორიულ-იგავურათ გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან რჯულისა და თავისუფლების დასაცველათ... ალფეგორი-იგავითვე გამსჭვალულია ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“, სახალხო სიმღერა „მოდო ენართ ეენახი“, სადაც სიტყვა ეენახში იგულისხმება საქართველო (იხ. გვ. 4). „მოსალოდნელია ისიც-ამბობს აეტორი მეორე ადგილას, — რომ წარმართულ დროინდელ პრომეთეოსს და საქრისტიანო დროის ამირანს, მიმსჭვალულს კავკასიონზე, ჰქონდეს უახლოესი კავშირი და ორთავე ამ ლევენდებით იგავ-ალფეგორიულათ გამოთქმული იყოს სვე-ბედი ქართველი ერისა (გვ. 33). გამოძიება იმისა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს, ერთი მხრით, პრომეთეოსსა და ამირანს შორის და, მეორე მხრით, თვით ამირანსა და ტარიელს შორის,

ისე ადგილი საქმე არ არის, როგორც ეს ბ. ჯანაშვილს ჰგონია; ყოველ შემთხვევაში ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ეს თქმულებანი აღმოცენებულია სხვადა-სხვა ნიადაგზე, მაგრამ შემდეგ ხალხის ყველაფრის გამაერთებელმა გონებამ იგინი ერთი-მეორეს დაუახლოვა. რაიცა შეეხება იმ აზრს, რომ ვითომც თქმულებებში პრომეთეოსზე და ამირანზე ალფეგორიულათ გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან, ეს აზრი, ეიმეორებთ, ყოველ მეცნიერულ საუფძველს მოკლებულია. ამის შესახებ მკითხველს შეუძლია მიმართოს პროფ. მარს, რომელმაც საკმარისათ³⁾ გამოაშკარაა ბ. ჯანაშვილის წერილის არა მეცნიერული ხასიათი.

ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, თუ რა ნაირ შემცდარ და უნაყოფო მეთოდს ხმარობს ბ. მ. ჯანაშვილი. საქმე ის არის, რომ ჩვენი აეტორი ყოველგან და ყველაფერში ქრისტიანობის აზრდის ხედავს. მეორე მხრით, ეს შეცდომა ყველაზე უფრო გამოიხატება იმ გარემოებაში, რომ ბ. ჯანაშვილი იღებს ლიტერატურულ ნაწარმოებს არა როგორც განსაზღვრული მატერიალური ორგანიზაციის ნაყოფს, შედეგს, არამედ როგორც ისეთ რამეს, რასაც არაერთი დამოკიდებულება არა აქვს მატერიალური არსებობის პირობებთან. მისთვის საკმარისია მხოლოდ, თუ სხვა-და-სხვა დროის ლევენდებთა და მოთხრობათა შორის რაიმე დამოკიდებულება უჩვენა, ან და მოთხრობასა და თანამედროვე ცხოვრებას შორის აღმოაჩინა მცირე ოდენი მსგავსება; ასე იქცევა ბ. ჯანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. როგორ გაჩნდა ჩვენ ლიტერატურაში პოემა „ვეფხისტყაოსანი“? ამ კითხვის გამოკვლევისათვის აეტორი კმაყოფილდება, ერთი მხრით, მარტო რუსთველის წინა დროის ქრისტიანული ხასიათის ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასახელებით, და მეორე მხრით, „ვეფხისტყაოსნის“ და „ქართლის ცხოვრების“ მსგავს ადგილებთა შედარებით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამნაირი მეთოდით ჩვენ შორის ვერ წავალთ, ნათელს ვერ შევითანთ გამოკვლევაში. საუბედუროდ, ჩვენში მალაღფარდოვან ფრაზების და სიტყვების ხმარებას უფრო ეწყობიან, ვინემ სისტემატიურათ და განსაზღვრული

1) თუ რა ხასიათისა ეს „შრომას“, ამას თვით აეტორის სიტყვები დაგვანსავენ. „ამ დროს — ამბობს ბ. ჯანაშვილი, — როცა ეგრძობის საშუალო საუკუნეობის ტიპილიზაციის მკვლევარს მე X—XI საუკუნეებზე თითქმის გერმანული თვალსაზრისით ნაშთი ვერ აღმოუჩენია, რომ მისათ დასწონ-დასწონას ვითარება გონებითი წარმატების ეგრძობის კაცობრიობისა (!), იმ დროს, კამბობ, აზიის ერთ გუნტულში, სასუფლად ჩვენს სამშობლოში, იწყება დიდი საგალობელი თავის ნიშნებით“ (ნოტები). გვ. 6—7.

2) იხ. გვ. 25.

3) იხ. Журн. Минист. Народ. Просвѣщенія, 1895 г., Октябрь. მარს სხვათა შორის ამბობს: „затѣмъ въ брошюрѣ („მოქე სონჯესა“ დანაკავი) все сплошь заблужденіе и вурды“ ст. 325. ამავე საგანზე იხ. ბრეტე-ოქე А. Хахановъ. Очерки по ист. грузинской словесности. Вып. первый, Москва, 1895 г. „Слѣдовъ христіанства въ повести не замѣчается и слово „аминъ“ въ концѣ ея, вѣроятно, является позднѣйшимъ прибавленіемъ переписчика“. стр. 352.

მეთოდით სანის შესწავლას და გამოკვლევას. თქმა არ უნდა, რომ შოთა რუსთაფელის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ სახელი იმდენათ ცნობილია ჩვენში, რომ საქმარისა მხოლოთ ერთ-ერთ ამ სახელის გახსენება, რათა სულ უბრალო მკითხველის გულშიაც კი რაღაც გამკუთქმელი და მაღალი სიამოვნების გრძნობა დაბადოს. ეს საზოგადო თვისება ყოველ გვარი მაღალი ხელოვნური ნაწარმოებისა. მაგრამ ჩვენთვის საჭიროა ახლა არა ათასჯერ წარმოთქმული და დაღეჭილი ფრაზების განმეორება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, არამედ მისი შეგნებული კრიტიკული დაფასება. ჩვენ ღრმით დარწმუნებული ვართ, რომ ამნაირი კრიტიკული დაფასება „ვეფხისტყაოსნის“ უფრო აამაღლეს, ვინემ მხოლოთ ქება-დიდების შესხმა.

რას წარმოგიდგენს შინაარსის მხრით ბ. მ. ჯანაშვილის წიგნი „შოთა რუსთაფელი“? ავტორი წინასიტყვაობაში ასე განგვიმარტავს თავისი შრომის საგანს: ყოველივე, რაც აქამდის დაწერილა „ვეფხისტყაოსანზე“, გაბნეულა. „ამ გარემოებამ გაგვბედვინა გამოვეცა ეს სასულემღვანელოესუბურ წიგნი (კურსივი ყოველგან ჩვენია), რომელც შედგება სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში შევიტანეთ ყველა ის მასალა, რომელიც შეეხება რუსთაფელის წინა დროის მწერლობას... მისი ქმნილების მეტნიერებათ შესწავლის ისტორიას და სხვ. (წინასიტყ. გვ. III). როგორ შეასრულა ბ. მ. ჯანაშვილმა ეს თავის დაპირება?

აქ საჭიროთ ვთვლით აღენიშნოთ შემდეგი: ვერეთ წოდებულ წარმართთა დროს, როცა ხალხს ბუნებრივი ნიჭით შექმნილი რელიგიური რწმენა აქვს, ჰარმონიული განწყობილება არსებობს მის სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა შორის; ყოველსავე იმას, რსაც საფუძველი აქვს ადამიანის ფიზიკურ მოთხოვნილებაში, ჰარ-დაპირ ხდება ამა თუ იმა ფორმით რელიგიური რწმენის კუთვნილებათ, ანუ და ბოლოს თვით რელიგიურ რწმენათ რადგანაც ერთი შესანიშნავი მეცნიერის სიტყვით „რელიგია წარმოგიდგენს ქვეყნიერების ანუ თვით ადამიანის გადამბრუნებულ ცნობიერებას“⁴⁾. ჩვენ ვიცით, რომ პირვანდელ რელიგიურ რწმენას ხალხში იმდენათ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენათაც ის ემსახურებოდა დღიურ ვარაზს (რა ნიართ ემსახურებოდა, — ეს სულ სხვა კითხვაა, და იმს გარჩევაში ჩვენ ახლა არ შეე-

დებართ); უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ძველ დროში, და ახლაც ველურ ხალხებში, რელიგიური ცხოვრება სრულებითაც არ იყო განსაზღვრული თვით საზოგადოებრივი ცხოვრებიდან; ცეკვა, თამაში, სიმღერა, ლექსები, და სხვ, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც ჩვენ დროში სრულებით არ შეადგენს სარწმუნოების კუთვნილებას, წინეთ ამ უკანასკნელთან იყო მჭიდროთ შეკავშირებული და თვით სარწმუნოება თითქმის მარტა ამ გვარ ცერემონიებში გამოიხატებოდა. ეს უკანასკნელი გარემოება ამტკიცებს იმ წინადადებას, რომ ყოველივე რელიგიური რწმენა ისე, როგორც პოლიტიკური და იურიდიული მხარე, აღმოცენდა და განვითარდა ეკონომიურ ნიადაგზე. მაგრამ დროთა-ვითარების გამო, მას შემდეგ რაც უწინდელი მარტივი საზოგადოებრივი ურთი-ერთობანი თან-და-თან განვითარდნ და გართულდენ, ეს კვალი, ე. ი. რელიგიის ეკონომიური საკუძველი, იკარგება და ბურუსით იცემა, თუმცა ეკონომიური ნიადაგიდან წარმოადგომის ნიშანს სრულებით არაოდეს არ ჰკარავს. ამ რადიკალური ცვლილებას შემდეგ, რომელიც ადამიანთა შეუგნებლათ ხდება, ჩნდებაან განსაზღვრული რელიგიური სისტემები, რომლებიც უარს ჰყოფენ წინეთ არსებულ ნატურალურ რელიგიებს და ზეციდან აწესებენ ყოველ გვარ წეს-წყობილებას. იმართება სასტიკი ბრძოლა ძველ, უსისტემო და განუსაზღვრელ, რელიგიურ რწმენასა და ახალ, სისტემატიურათ შემუშავებულ სარწმუნოებას შორის. გამარჯვება ეკუთვნის უკანასკნელს იმდენათ, რამდენათაც ის ითვისებს ხალხის ნატურალური (ბუნებრივი) რწმენის წესებს და ზნეს; მაგრამ ამასთანავე იგი ყოველსავეს ადებს თავისებურ ფერს, ცდილობს გაავლოს ხაზი სარწმუნოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის; დენის ყოველივე იმას, რაც სულიერ, ასკეტურ მოთხოვნილებათა დამყოფილებისაკენ არ არის მიმართული; ერთი სიტყვით, სარწმუნოება აქ თავის თავთ მიჩნეულია მიზნათ. ქრისტიანობა წარმოგიდგენს ერთ იმ სარწმუნოებათაგანს, რომლებმაც შეარყიეს და დასცეს პირველყოფილი ნატურალური რწმენანი. ქრისტიანობამ შეასრულა ეს საქმე ფრიად განსაზღვრული და მეთოდურათ აშენებული რელიგიური სწავლის მეთვებით. განყენებული გონების ვარჯიშობამ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მიაწერა უმაღლეს ხარისხამდის. აქ რელიგია ჩვენ წარმოგიდგენს უკვე ფრიად განსაზღვრულ სწავლას, რომელსაც აქვს თავის საფუძველი სამ-ქვეყნიურს — აუღელა. ამიტომ, რათა ადამიანს ჩაუნერგოს ეს განყენებული შემეცნება ტვინში სარწმუნოების წარმომადგენელნი ებრძვიან ყოველსავე საერო მიმართულ-

4) K. Marx. Critique du droit de Hegel. იგივე მეცნიერი მეორე ნაწილთ განსაზღვრავს კიდევ რელიგიას: „რელიგიას არის ფუნტასტიკური განხორციელება ადამიანის არსებისა, რადგან ადამიანის არსებას არს აქვს ჭეშმარიტი სინამდვილე“.

ბას ხალხში, კი ცხადე მის ზნეს, ჩვეულებას, რითაც, მათი წარმოდგენით, ხალხი მიკრულია სააქაოზე. მაგრამ ხალხი იცავს თავის მიერ შექმნილ და შემუშავებულ ჩვეულებას, ზნეს და სხვ. ეს იწვევს სარწმუნოების წარმომადგენლებში უკიდურეს მიმართულებას: იგინი ყოველისავე ამ ქვეყნიურს უწოდებენ ამოჯობათ; ამ მიმართულებას ჰქვია ასკეტიზმი.

სწორეთ ამნაირი გზა განელო ქრისტიანობამ. ამ მსოფლიო სარწმუნოებებში, სადაც კი იწყო გავრცელება, ყოველგან მუსრს ადენდა პირველ-ყოფილ ბავშურ რელიგიურ რწმენათა, თუმცა არა იაფათ დაჯდომია მას ეს გამარჯვება: უმრავლეს შემთხვევაში მისი გამარჯვება მარტო გარეგანი იყო; ის თავისებურათ ითვისებდა ამ ბავშურ რელიგიურ წარმოდგენათა იდეებს, თქმულებებს და სხვ. მაგრამ ერთში კი მკაცრათ იცავდა თავის მიმართულებას: ეს იყო საერო მიმართულების დევნა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ამნაირ გზას უნდა დადგომოდა ჩვენშიაც ქრისტიანობა, რაკი მან მოიკიდა ფეხი ჩვენ ქვეყანაში. თუმცა ჯერ არ არის ჯეროვანათ გამოკვლეული და შესწავლილი ქრისტიანობის გავრცელების და განმტკიცების ისტორია საქართველოში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ დასაბუთებით შეგვიძლია წარმოეთქვათ აქ მოკლეთ შემდეგი მოსაზრებანი. ქრისტიანობის გავრცელების საქმე თხოულობდა აუცილებლათ, რომ ხალხს აეცრუებია გული თავის საკუთარ რელიგიურ რწმენაზე. ეს შესაძლებელი იყო მხოლოთ ერთათ ერთი გზით, ერთათ ერთი საშუალებით: ყოველივე საერო მიმართულების დევნა და მთელი გონების მიპყრობა ზეცისაკენ. ამით ქრისტიანულ მამებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული სასულიერო მიმართულება, ამ საქმეში იმათ გამოიჩინეს შესანიშნავი ძალა და მუყაითობა; იმათ გამოიგონეს ანბანი, შექმნეს და აღორძინეს სასულიერო, ღეთის-მეტყველური ლიტერატურა, დაჰბადეს იმნაირი თავგამოდებული პირნი, რომლებიც ამ სასულიერო მიმართულების გავრცელებისთვის ყოველ გვარ სასჯელს იტანდენ. ამით განმტკიცდა ლიტერატურაში ეს სასულიერო მიმართულება, და თუ აქა-იქ შეხედებით მაშინდელ მწერლობაში პლატონის და არისტატელის თხზულებებს, იმათაც ზე დართული აქეთ თავისებური ღეთის მეტყველური კომენტარიები. ამ გარემოებამ ხალხის თავისუფალ ნიჭსაც შეუკვეცა ფრთები; ვიწრო ტენდენციურმა მიმართულებამ ხალხის გმირებსაც თავისი დალი დასვა, ანუ უკეთ რომ ეთქვათ დაამხინჯა. როცა განსაზღვრული ეტიკის ჩარჩოებში გსურთ მოამწყვდიოთ ადამიანის მოქმედება, მაშინ ის, რასაკერაველია, ერთგვარი და უფერული გამოდის; ეს კიდევ არაფერი, ამით თვით შემოქმედებას ეკარგება

თავისი აღმაფრთოვნებელი ზუნებრივი ძალა, ე. ი. აქ თავისუფალ ზოგნიის ჰანგებს აღარ აქეთ ადგილი: მის ალაგს იჭერენ ზნეობრივი დარიებება და რეტორიკა⁵⁾

ეს არის მოკლეთ საზოგადო სურათი ჩვენი ლიტერატურისა ქრისტიანობის მიღებიდან ვიდრე მე-XI საუკუნის ვაცელამდე. ნამდვილ საერო მიმართულებას იმ დროს არც მწერლობაში და თითქმის არც ცხოვრებაში ადგილი აღარ ჰქონდა. რომ ამნაირი მიმართულება ხელ-ახლა დაბადებულ იყო და აღორძინებულ იყო, ამისთვის აუცილებლათ საჭირო იყო, რომ ახალ და მძლავრ ნაკადულს შემოგნებთა ჩვენ ცხოვრებაში. ამნაირ განმაცხოველებულ ნაკადულათ საყოველთაოთ მიღებულთა არაბეთის ლიტერატურის აღორძინება და მისი გავრცელება სხვა ქვეყნებში. ამ შემთხვევაში სწორეთ რომ ნაკადულს შეედრება არაბეთის და სპარსეთის ლიტერატურა საშუალო საუკუნოებში: იმისი მსწრაფი აღორძინება და აგრეთვე მსწრაფი დაცემა პირდაპირ ნაკადულს მოგვეგონებს. მაგრამ თუ ეს ნაკადული თვით არაბეთ-სპარსეთის შემდეგი ლიტერატურისათვის თითქმის უნაყოფო გამოდგა, საბედნიეროთ ასე არ ითქმის იმ ლიტერატურებზე, რომლებზედაც ჰქონდა მას გავლენა. ამ უკანასკნელთა რიცხვში ჩვენი ლიტერატურაც ურეია. საერო მიმართულების დაბადება ჩვენ ლიტერატურაში მე-XII-ტე საუკუნის დასაწყისიდან პირდაპირ ამ გავლენას მიეწერება. თუმცაღა ეს საგანი ჯერ თითქმის სრულებით არ არის გარკვეული, მაგრამ საკმარისია ხსენებული საუკუნის რამდენიმე თვალ-საჩინო ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობა, როგორიც არის, მაგალ., „ვისრამიანი“ აგეფხის-ტყაოსანი⁶⁾ და სხვ., რომ ამ შეხედულების სიმართლეში დავრწმუნდეთ. ეიმეორებთ ეს შეხედულება ახალი არ არის, იგი ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა განმარტა⁶⁾; ამ განმარტებიდან ჩანს, რომ

⁵⁾ ეჭვი ან ანის, რომ ხალხის ზოგნიითა თქმულებანი, აღმოცენებულნი ნატურალურნი რელიგიას ნადავზე, კიდევ დიდ ხანს ინახუნთ თავიანთ ზიგანდელ სსიათს.

⁶⁾ ის. მისი „Грузинская хрестоматия, Ч. II, 1846 г., Петербургъ. Ст.: О грузинской поэмѣ „Вешхис-Ткаосანი“. დ. ჩუბინაშვილი, სსკათა შოქსის, ამაბს, რომ შოთა რუსთველამ თავის „კესის-ტყაოსანში“ ამით მასწავს სელაგნების უმაღლეს საწისხამდის, რომ იგი,

დ. ჩუბინაშვილი არა მარტო გარეგნობის მხრით ხედავდა მსგავსებას „ვეფხის-ტყაოსანსა“ და აღმოსავლეთის ქვეყნების ნაწარმოებთა შორის. შემდეგ ამავე საგანს მოჰკიდა ხელი გ. წერეთელმა და მოკლეთ და გარკვევით დაგვიმტკიცა, თუ რა დამოკიდებულება სუფევს „ვეფხის-ტყაოსანსა“ და არაბეთის ლიტერატურას შორის. გ. წერეთელი, სხვათა შორის, წერს: „ერთი მხრით, საბერძნეთის⁷⁾ შეხედულება ბუნებაზე და კაცზე, მეორე მხრით, ბუნებითი სიმდიდრე არაბული ენისა, რომელიც იმდენათ ტკბილ გასაგონია, როგორც ბულბულის ათასნაირი სტენა, შეიქმნენ რუსთველის ხელში „ვეფხის-ტყაოსნის“ მასალათ“.⁸⁾

ამნაირათ ის შეხედულება, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ სათავე უნდა ეყვით არაბეთ-სპარსეთის ლიტერატურაში, ჩვენ მწერლობაში უკვე დიდი ხანია, რაც დადგენილია, მაგრამ, მეორე მხრით, როგორც ზევით ვამბობდით, ეს შეხედულება არ არის ნაყოფი ღრმა ისტორიული გამოკვლევისა, არამედ შექმნილია აპრიორიულათ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ რუსთველის ქმნილებას ძლიერ თვალსაჩინოთ ატყეია აღმოსავლეთის კოლორიტი, რომ ცოტათ თუ ბევრათ დაკვირვებით კითხვამ არ დაბადოს ჩვენ გონებაში ამნაირი აზრი, თუმცა-ღა შემდეგ ბევრს აფრთხობს იგივე გარემოება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ უმთავრესი შინაარსი ჩვენი ცხოვრებიდან არ არის აღებული, რომ მასში ჩვენ თვალ წინ გადივართ აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრება თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციით. რუსთველის ქმნილება იმდენათ შეკავშირებულია აღმოსავლეთთან, რამდენათაც წმიდა მამების ცხოვრება, და საზოგადოთ მთელი საღმრთო წერილი, ბიზანტიასთან, პალესტინასთან, ანტიოხიასთან და ან ეგვიპტესთან. ამიტომ, როცა შოთა რუსთველის წინა დროის მწერლობაზე გვაქვს ლაპარაკი, რათა „ვეფხის-ტყაოსნის“ წარმოდგომის ისტორია შევისწავლოთ, ჩვენთვის აუ-

ცილებელ საჭიროებას შეადგენს აღმოსავლეთის ცხოვრების და მისი ლიტერატურის შესწავლა. რაც შეეხება ბიზანტიის ქრისტიანულ ცხოვრებას და იქიდან ქართულ ენაზე გადმოწერულ სასულიერო მწერლობას, შევიძლიათ, თუ ბ. ჯანაშვილის ალეგორიულ-იგავურ მეთოდს იხმართ, ამ მწერლობასაც შეუტყუროთ რუსთველის პოემა; მაგრამ ამ ნაირი მსჯელობა ყოველ გვარ მცენიერულ საფუძველს მოკლებული იქნება. „ვისრამიანი“, „ვეფხის-ტყაოსანი“ და სხვა საერო მიმართულების ნაწარმოებნი მე-XII საუკუნეში, ერთი მხრით, და მთელი მაშინდელი ჩვენი ბიზანტიური სასულიერო მწერლობა, მეორე მხრით, წარმოგვიდგენენ ორ სხვა-და-სხვა ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ქვეყნიერებას. მაგრამ არავენ იფიქროს, ვითომ ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლისათვის ამ სასულიერო მწერლობას; პირ-იქით, რაც უფრო დაწერილებით შევისწავლით ამ უკანასკნელს, მით უფრო და უფრო დავრწმუნდებით, რომ რუსთველის პოემას მასთან საერთო არა აქვს-რა.

ბ. მ. ჯანაშვილის შრომასაც „ვეფხის-ტყაოსანზე“, მეტადრე ამ შრომის იმ ნაწილს, სადაც იგი ლაპარაკობს რუსთველის წინა დროის მწერლობაზე, მხოლოთ ამნაირი მნიშვნელობა აქვს, — ეს მნიშვნელობა ნეგატიურია (უარყოფითი). ამნაირია ბ. ჯანაშვილის წიგნის მნიშვნელობა, როცა იგი პირველათ გვეუბნება, რომ რუსთველს ჰყავდა წინამორბედნი, რომ მასზე ბევრით აღრე გამოჩნდენ დიდებული მწერლები, რომლებმაც განანათლეს ხალხის გონებაო (გვ. 7); და შემდეგ ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს ათასჯერ დაღეჭილი, მშრალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები (გვ. 8 — 13) იმის შესახებ, რომ ჩვენში რუსთველის დრომდის არსებობდენ მონასტრები, ლავრანი, თარგმნიდენ საღმრთო წერილს, წმიდა მამების ნაწერებს, წერდენ საგალობლებს და სხვა-და-სხე. ამას შემდეგ ბ. ჯანაშვილი თამამათ ვაძიანს: „დიან, ვიმეორებთ, — ამბობს იგი, რუსთველი ჩვენ გრძელ ცხოვრებაში ის ოღე არ არის, რომელიც უხეო-ტყეო მინდორზე მარტოთ მარტო დგას, არამედ მის წინაშე ჩვენ ვხედავთ მრავალ სხე მოღვაწეს, მრავალს ოღეს, რომელთა შეკავშირებულ ჯგუფმა, რუსთველთან ერთათ, განამშვენეს საქართველო“ და სხე (გვ. 14 — 15). მკითხველს ეთხოვთ, განისწავლოს ყოველივე ის, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით რუსთველის და მის პოემის შესახებ, და მერე გასაჯოს, თუ რამდენათ უსაფუძლოა ბ. ჯანაშვილის დასკვნა. აი, სწორეთ ეს გარემოება გექონდა ჩვენ სახეში, როცა პირველ წერილში ვამბობდით, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ დღეს ჩვენ ძალა-უნებურათ „ცილ-

ერთი მხრით, დიდი მცოდნე იყო კლასიკური ლიტერატურისა და, მეორე მხრით, აღმოსავლეთისა. მისეუ აღნიშნა ამ ნაწარმოების აღმოსავლეთური ხასიათი გარკვენობის მხრით, მაგადა, გარკვეული სიტყვათა, უსასღვრო ენებათა დედა, აღმოსავლეთური შედარებათ: მზე, მთავრ, ღოძი და სხე. გვ. VI.

7) თავის თავათ იუგლისხმება, რომ აქ ლაპარაკია კლასიკურ საბერძნეთზე, და არა ბიზანტიასზე.

8) რასაკვირველია, მარტო ჩვენ მიერ აქ დასასკვებული მწერლები არ არიან ამ შესკვლევის, მაგრამ ყველა იმათ დასასკვლებს ჩვენ აქ საჭიროთ ან სკვდით.

გან მოწყვეტოლ ცის-ნატეხათ“ უნდა მივიჩნიოთ, და თვით ბ. ჯანაშვილის ახალი შრომა ამავე შემცდარ შეხედულებას ასაბუთებს-მეთქი. ცხადია, რომ თუ ბ. ჯანაშვილსავეთ ლავრა-მონასტრებში ევდიხეთ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველი, ჩვენთვის ის სამუდამოთ აუხსნელი დარჩება. ბ. ჯანაშვილის ამნაირ შემცდარ გზაზე დაყენება აიხსნება იმ მეთოდით, რომელსაც ის კაი ხანია ხპარობს და რომელმაც ასე უნაყოფოთ ჩაიარა. ჩვენ ვიცნობთ რამდენიმეთ ამ მეთოდს: ის მღკამარეობს, ერთი მხრით, იმაში, რომ ყოველგან და ყველაფერში ქრისტიანობის კვალი აღმოაჩინო და სადაც ეს ყოვლიათ შეუძლებელია, იქ ალევგორიული ახსნა მოიშველიო; მეორე მხრით, ღრმა ანალიზის მაგიერათ აქ საკმარისია მხოლოთ გარეგანი მსგავსებათა ჩვენება, მაკ., ცალკე, გამოგლეჯილი, სიტყვების ან შემთხვევების განხილვა საზოგადო შინაარსთან დაუკავშირებლათ.

ამნაირათ შეასრულა აეტრამა თავის პირველი დაპირება: რუსთეელის წინა დროის მწერლობის გაცნობა შოთა რუსთეელის ქმნილების შესწავლის გასაადვილებლათ. ეგონებთ, შეცდომა არ იქნება, რომ ბ. მ. ჯანაშვილის შრომის ამ ნაწილზე კათალ. ანტონ I-ს სიტყვები მოვიყვანოთ: „ამათ დაშუჭა, საწუხარაჲს ესე“.

ფ. მახარაძე.

(დასასრული შექმნა)

ანგარიში ჭიათურის სახალხო სამკითხველოს შესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ჭიათურაში აგერ წელიწადი მალე შეუსრულდება, რაც უფასო სამკითხველო—ბიბლიოთეკა არსებობს. რადგან ადგილობრივმა საზოგადოებამ არ იცის დაწერილებითი ანგარიშები ამ ბიბლიოთეკისა, საჭიროთ გრაცხთ გამოეცხადოთ ყოველივე საზოგადოებ-ს საყურადღებოთ. ბიბლიოთეკა, როგორც მოგეხსენებათ აქამდის კერძო შემოწირულებით ითქვამდა სულს და ამ წლის იანერის აქეთ კი დაარსდა საწევრო გადასახალი რამდენიმე პატრეცემულ პირთა თანხით.

აქვე მოვიყვანთ როგორც კერძო შემომწირველთ, აგრეთვე წევრების ვეარებს.

10 მან. შემოწირეს:

კნ. ელ. წერეთლისამ, თაე. ს. დ. წერეთელმამ და ბ-ნ ნ. ნ. ლოლობერიძემ:

5 მან.

თაე. დ. სიმ. გუგუნივამ, ჰომერ ავეგერანომ, ბ. ბ. გ. ზდნოვიჩმა, გედევან ჩუბინიძემ, ბერნარდ კატცმა, და თაე. ფრიდონ წერეთელმა.

3 მან.

ბ.ბ. ჯიბ. წერეთელმა, ნ. არდიშვილმა, კ. ყიფიანმა, ბლ. ჩაჩანიძემ, ვალ. ბლიუნგარდტმა, თაე. პ. წულუკიძემ, ბ. ფრ. სოლოელიამ, თაე. მ. დ. წერეთელმა, ბბ. დ. ბაქრაძემ, ფილიპე და ვიქტორ დარჩიებმა.

2 მან.

ბბ. პ. მოსეშვილმა, ნ. კაკაბაძემ, ბეჟინეიშვილმა, ერ. რატინამ, ილ. მიკროპულომ, გ. დ. ლორთქიფანიძემ, ან. აიდაროვმა, ბ. ვაშაძემ, ან. აბაშიძემ, ნიკ. ოთხმეზურმა.

1 მანეთი.

ბ.ბ. დარ. ე. გაჩეჩილაძემ, ს. ჭიჭინაძემ, კ. ვარდასანიძემ, გ. ი. წერეთელმა, გ. ხეჩატუროვმა, მ. მხეიძემ, ელ. ბედიაშვილმა, ელ. ლარიბაშვილმა, ი. გაფრინდაშვილმა, მლ. ლ. დევიძემ, თაე. გ. ს. ბეგთაბეგოვმა, სტ. გალინოსმა, ი. ჯაფარიძემ, თაე. ს. მიქელაძემ, ბ.ბ. გ. ხაბურზანიამ, მ. საყვარლიძემ, დ. წერეთელმა, იას. გაჩეჩილაძემ და ყარ. ჩხეიძემ.

სხვა-და-სხვა შემთხვევით შემოსული: ორი პირისგან. 4 მ. 20 კ.; 23 მაისს 95 წელს პენიციდან ჭიათურაში შემოვიდა 56 მ. 60 კ.; ქ. ელენ. წერეთლისამ გამართა ჭიათურაშივე ლატარია-ალეგრი და დარჩა 11 მ. 25 კ.; ზესტაფონში ბ. ხუნდაძემ შეკრიბა 15 მ. 15 კ.; ჭიათურა წარმოდგენიდან 33 მ. 59 კ. აქედან შედგა 151 მ. 52 კაპ.; ერთათ სულ შედგა 273 მ. 52 კაპ.

შემდეგში, როცა ეს ფული გამოლევამდე მიდგა და საშუალება არსაიდან ჩნდა, დაარსდა საწევრო გაღასახალი სურვილისამებრ პატივცემულ პირთა, როგორც ზევით იყო მოხსენებული.

წევრები სამ ჯგუფათ განიყოფებიან: 1) საპატრიო წევრები, რომლებიც იხდიან 10 მანათზე მეტს წელიწადში; 2) დამფუძნებელი—რომლებიც იხდიან 50 კაპ. თვეში ანუ 6 მ. წელიწადში და 3) გულშემატყვიარნი, რომლებიც შეძლების დაგეარათ იხდიან. პირველ რიგში ჩაწერენ ბ.ბ. ნ. ლოლობერიძე—12 მ., ნ. ზურაბოვი—10 მ. და იოან. სინარულიძე—12 მან. (შემოტანილია 6 მან.) მეორე რიგში—ბ.ბ. ირ. დეკანოზიშვილი (შემოიტანა 1 მ.) ვიკ. ღარჩია—3 მ., ეინზე დათებოვი—6 მ., კარ. მოღვაძე—1 მ., ილ. მიქაძე 5 მ., ერ. კიცმარიშვილი 2 მ., ბერნარდ კატცი 3 მ., კ. დავ. წერეთელი 2 მ., იოსებ აბრამიძე—2 მ., ილ. კაკაბაძე—2 მ., სან. ასლანოვა—2 მ., ეან. ბერიძე—3 მ., სილ. კვიციანიძე 2 მ., ლ. ლორთქიფანიძე—2 მ. და ჯიბო იაშვილი—2 მ., —სულ 61 მ. წინანდელი შემოწირულებიანა 336 მან. 52 კაპ.

შემო აღნიშნულ პირთ გარდა წევრობის სურვილი გამოაცხადეს და ხელიც მოაწერეს კიდევ რამდენიმე პირებმა, რომლებზედაც სრულათ დარწმუნებული ვართ შემოიტანენ თავიანთ საწევრო გადასახადს. ასე რომ ბიბლიოთეკის ხაზინადრის ხელში ყოფილა სულ 336 მ. 52 კაპ. ახლა განვიხილოთ ის, თუ რამდენი დახარჯულა. ნება-რთვის აღების დროს მარკებში დაინარჯა (მისელა-მოსელას არ ეანგარიშობთ) 2 მ. 62 კაპ. შარშან გაზეთების დასაკვეთათ—49 მ. 21 კაპ.

	მ.	კ.
სახლის ქირა 11 თვის	66	—
მავიდები და სკამები ბიბლიოთეკაში	14	—
„მოამბის გამოწერა 1 წლით	12	—
შუშაბანდიანი შკაფი წიგნების	10	—
ქურნალ გაზეთების გამოსაგზავნი ფული, აგრეთვე გასაგზავნი „მოამბის“ რედაქციაში, „ჯეჯილის“, „კეკელის“, „ივერიის“, „Кавказ“, „Новое Обозрение“, „Русскія Вѣдомости“ „Русское Богатство“ 1)	25	66
წიგნების დასაკაშმათ	17	95
წერიმალნი ხარჯი, როგორც, გრაფინკა, ლამპები, სტაქანი, ჩითი, სანათე რ სხვა	7	35

1) ამთში გარდა „მოამბის“, „ჯეჯილის“, „Русскія Вѣд.“, „Руск. Бог.“-ს ექველამ მუქათა დაგეითმთ და მხლოთ ფოსტის ფული გაუგზავნეთ.

	მ.	კ.
ქესტის ფები	4	50
4 თვის ჯამაგირი ბიბლიოთეკარს 2)	60	—
წიგნების ყიდვა: აკაკი ზვრეთლის 2 ტომი	2	—
ი. ჭავჭავაძის II და III ტომი	2	—
ა. ყაზბეგის 4 ტომი	4	80
ი. დავითაშვილის	—	80
შეშა და ნათი	1	82
„ასის წლის შემდეგ“ და გუნის, დრამები და კომედიები“ I და II	2	10
კლიონკა სტოლისთვის	1	90
სულ	232	80
ღარჩია	103	72

რომელიც ინახება ბიბლიოთეკის ხიზინადართან.

დასასრულ, უძღვნით უგულითადეს მაღლობას ყველა შემომწირველთ და წევრებს, აგრეთვე რედაქციებს, რომელთაც უფასოთ დაგვითმეს თავიანთი გამოცემანი.

ბიბლიოთეკის დაეთრებიდან ეტყობილობთ, რომ ორ თვეში 314 კაცს წაუღია ბიბლიოთეკიდან წიგნები. იმედია, რომ აწი მეტიც იქნება მთხოველი, მხოლოთ ჯერ-ჯერობით წიგნებით ძლიერ დარბივართ. იმედია, ამ ნაკლს შეავსებენ შავეიქვის მწარმოებლები.

დამფუძნებელი კომიტეტი: კარპე მოღვაძე
ფილ. ღარჩია
და ერ. კიწმარიშვილი.

ჭეჭკტორ-გამოცემული ან. თ.-წერეთლისა.

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში

„ქართული გოტიკური ანბანი“

გამოცემული ს. ტარუაშვილის მიერ.

ფასი ერთი შაური.

(3—2)

2) მანძლის მარჯულებით წევრები იყვენ ბიბლიოთეკაში.